# ვაშა თქვენ, კოსმონავტებო!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 65 (13186) | პარასკევი, 19 მარტი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.


## ორბიტაზე გაყვანილია კოსმოსური ხომალდი „აისი-2“.

## ხომალდს მართავენ — კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი პავლე ივანეს-ძე ბელიაევი და კოსმონავტი მფრინავი პოდპოლკოვნიკი ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი.

## „აისი-2“ ფრენის დროს პირველად განხორციელდა ხომალდიდან ადამიანის გასვლა კოსმოსურ სივრცეში.

## „აისი-2“ საკდესის ცნობა

1965 წლის 18 მარტს 10 საათზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე მძლავრი მატარებელი რაკეტით გაყვანილია კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აისი-2“. ხომალდს მართავს ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში არიან ხომალდის მეთაური — კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი პავლე ივანეს-ძე ბელიაევი, მეორე პილოტი — კოსმონავტი მფრინავი პოდპოლკოვნიკი ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი.

თანამგზავრი ხომალდი „აისი-2“ გაყვანილია ორბიტაზე, რომელიც უახლოვდება გაანგარიშებულს.

წინასწარი მონაცემებით, დედამიწის გარშემო თანამგზავრი ხომალდის მიმოქცევის პერიოდი შეადგენს 91,9 წუთს, მინიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) და მაქსიმალური (აპოგეა) შესაბამისად უდრის 173 და 495 კილომეტრს, ორბიტის დახრილობა დაახლოებით 65 გრადუსია.

კოსმოსურ ხომალდთან „აისი-2“ დამყარებულია განუწყვეტელი ორმხრივი რადიოკავშირი.

ხომალდის მეთაურის ამხანაგ პავლე ივანეს-ძე ბელიაევის მოხსენებით, აგრეთვე ტელემეტრიულ გაზომვათა მონაცემებით, ეკიპაჟმა დამაკმაყოფილებლად გადაიტანა ორბიტაზე ხომალდის გაყვანა და უწონობის მდგომარეობაში გადასვლა.

ამხანაგები ბელიაევი და ლეონოვი აწარმოებენ მუშაობას კვლევის პროგრამის შესაბამისად. ისინი კარგად გრძნობენ თავს.

კოსმოსური ხომალდიდან „აისი-2“ ცნობების გადმოცემა წარმოებს 143,625, 17,365 და 18,035 მეგაჰერცი სიხშირით. ხომალდზე დადგმულია აგრეთვე გადმომცემი „სიგნალი“, რომელიც მუშაობს 19,996 მეგაჰერცი სიხშირით.

კოსმოსური ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

შემდგომ ცნობებს ფრენის მიმდინარეობის შესახებ გადასცემს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური.

პავლე ივანეს-ძე ბელიაევი

ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი

## საკდესის ცნობა

## ადამიანი პირველად გამოვიდა ხომალდიდან კოსმოსურ სივრცეში

1965 წლის 18 მარტს, 11 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსური ხომალდის „აისი-2“ ფრენის დროს პირველად განხორციელდა ადამიანის გამოსვლა ხომალდიდან კოსმოსურ სივრცეში.

ფრენის მეორე გარშემოვლის დროს მეორე პილოტი კოსმონავტი მფრინავი პოდპოლკოვნიკი ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი, რომელსაც სიცოცხლის უზრუნველყოფის ავტონომიური სისტემის სპეციალური სკაფანდრი ეცვა, გამოვიდა კოსმოსურ სივრცეში, დაშორდა ხომალდს ხუთ მეტრამდე მანძილით, წარმატებით შეასრულა დასახული კვლევისა და დაკვირვების კომპლექსი და მშვიდობით დაბრუნდა ხომალდში.

ხომალდის სატელევიზიო სისტემის საშუალებით კოსმოსურ სივრცეში ამხანაგ ლეონოვის გამოსვლის პროცესი, ხომალდის გარეთ მისი მუშაობა და ხომალდში დაბრუნება გადმოიცა დედამიწაზე. ყოველივე ამას თვალს ადევნებდა მიწისზედა პუნქტების ქსელი.

ხომალდის გარეთ ყოფნის დროს და ხომალდში დაბრუნების შემდეგ ამხანაგი ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი კარგად გრძნობს თავს. ხომალდის მეთაური ამხანაგი პავლე ივანეს-ძე ბელიაევიც თავს კარგად გრძნობს.

ხომალდის „აისი-2“ შემდგომი ფრენის დროს იწარმოებს:

— კოსმოსური ხომალდის სისტემების დაზუსტება;

— სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევა კოსმოსური ფრენის პირობებში და სხვა მეცნიერული კვლევა.

ამხანაგები ბელიაევი და ლეონოვი კვლავ აწარმოებენ სამუშაოებს პროგრამის შესაბამისად.

კოსმოსური ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

შემდგომ ცნობებს ფრენის მიმდინარეობის შესახებ გადასცემს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური.

# საბჭოთა კოსმონავტების შესანიშნავი გმირობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა საუბარი ხომალდ „აისი-2“-ის ეკიპაჟთან

ამ მომენტში, როცა კოსმოსურმა ხომალდმა „აისი-2“ გადაუფრინა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, მოსკოვის კრემლის სხვერდლოვის დარბაზში შეიკრიბნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ხ. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, კ. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი. აქვე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ამხანაგები დ. თ. უსტინოვი, ბ. ე. დომშიცი, მ. ა. ლესეჩკო, პ. თ. ლომაკო, ი. ტ. ნოვიკოვი, კ. ნ. რუდნევი, ლ. ვ. სმირნოვი.

დაამყარეს პირდაპირი რადიოკავშირი კოსმონავტებთან პ. ი. ბელიაევთან და ა. ა. ლეონოვთან. კოსმონავტებმა სიხარულით მოახსენეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, რომ წარმატებით ასრულებენ სამშობლოს დავალებას.

„მოვახსენებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას: ეკიპაჟი თავს კარგად გრძნობს, ხომალდის სისტემები ნორმალურად მუშაობს, დავალება სრულდება პროგრამის შესაბამისად, ფრენა წარმატებით მიმდინარეობს. დიდ მადლობას მოგახსენებთ ნდობისათვის“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ლ. ი. ბრეჟნევი გულთბილად და გულითადად მიესალმა მამაც კოსმონავტებს და მიულოცა შესანიშნავი გმირობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა, თქვა მან, ტელევიზიით ნახეს, როგორ გამოვიდა კოსმონავტი ა. ა. ლეონოვი ხომალდიდან და როგორ მუშაობდა კოსმოსში, რამაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ლ. ი. ბრეჟნევმა კოსმონავტებს უსურვა წარმატება კოსმოსურ ფრენაში და ბედნიერი დაბრუნება მშობლიურ საბჭოთა მიწაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში, რომელიც ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა გადასცა კოსმონავტებს, ნათქვამია:

„ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენო სახელოვანო კოსმონავტებო პავლე ივანეს-ძე ბელიაევო და ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვო!

გულითადი მღელვარებით, მხურვალედ და გულითადად მოგილოცავთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით შესანიშნავ გმირობას, გმირობას, რომელიც კიდევ ერთხელ ასახელებს ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს.

კაცობრიობა განიცდის მღელვარე მომენტს — მსოფლიოში პირველად ადამიანმა გაბედულად, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, შეაღო სამყაროს კარი. კოსმოსური ხომალდიდან იგი გავიდა კოსმოსში, შეასრულა დავალება და მშვიდობით დაბრუნდა ხომალდში. ჩვენ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, სიამაყითა და მღელვარებით ვუყურებდით, თუ როგორ სჩადიოდნენ ჩვენი მშობლიური საბჭოთა ადამიანები ამ უმაგალითო გმირობას.

მთელმა საბჭოთა ხალხმა უდიდესი სიხარულით შეიტყო თქვენი გმირული ფრენის ამბავი და უდიდესი სიყვარულით ადევნებს თვალყურს, თუ როგორი მამაცობითა და ღირსებით ასრულებთ სამშობლოს საპატიო დავალებას. მსოფლიომ იცის, რომ ყველაზე შესანიშნავი მეცნიერული საქმენი კოსმოსში საბჭოთა კავშირში ხორციელდება. მაგრამ ის, რაც თქვენ მოიმოქმედეთ, პავლე ივანეს-ძევ და ალექსი არქიპოს-ძევ, ყველაზე გაბედულ წარმოდგენასაც კი აღემატება.

თქვენი გაფრენა და ადამიანის გასვლა ხომალდიდან კოსმოსში — საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის, ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მიღწევაა. თქვენი გმირობა ემსახურება მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის მიზნებს.

გისურვებთ ჩვენო ძვირფასო ამხანაგებო, წარმატებით კოსმოსურ ფრენას და ბედნიერად დაბრუნებას მშობლიურ საბჭოთა მიწაზე. მოუთმენლად მოგელით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში.

გეხვევით და კიდევ ერთხელ გისურვებთ წარმატებას და მშვიდობით დაშვებას დედამიწაზე!“.

მისალმების პასუხად კოსმონავტებმა განაცხადეს:

„სულითა და გულით გიძღვნით მადლობას მოლოცვისათვის. დიდი მადლობა ზრუნვისათვის. საბჭოთა სამშობლოს სპატიო დავალებას შევასრულებთ. მხურვალე მადლობას ვუძღვნით ყველა საბჭოთა ადამიანს მოლოცვისა და კეთილი სურვილებისათვის“.

# შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებანი

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გაეცნიერა და მოიწონა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც წარმოუდგა მთავრობის საიუბილეო კომიტეტმა.

1966 წლის სექტემბერი საქართველოში შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებული საერთო-სახალხო ზეიმის თვე იქნება. მიზანშეწონილად არის მიჩნეული გამოცხადდეს კონკურსი პოეტის ახალი იერსახის ასაგებად.

საიუბილეო წელს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების რესპუბლიკური კომიტეტი დაჯილდოებით ოთხ პრემიას მიანიჭებს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებთა ავტორებს.

დასახულია რესპუბლიკის დედაქალაქში შეიქმნას შოთა რუსთაველის სახელმწიფო მუზეუმი. იუბილესათვის მოეწყობა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოფენა. ამ თარიღს დაუკავშირებს თავიდ კამოფენებს საქართველოს ყველა მუზეუმი. რესპუბლიკის მხატვართა კავშირ და საქართველოს ხელოვნების მუზეუმი მომამზადებენ თანამედროვე ქართული ხელოვნების გამოფენას.

მთავრობის საიუბილეო კომიტეტმა საქართველოს მწერალთა კავშირს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტსა და სახლვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას დაავალა პოემაზე და ავტორზე „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ბეჭედი ორგანი რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ეგვაპტურ და არაბულ ენებზე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის საიუბილეო ფონდ კომიტეტი გამოუშვებს „ვეფხისტყაოსნის“ ახალ საიუბილეო გამოცემას ქართულ და რუსულ ენებზე. ამავე ენებზე პოემა გამოვა მცირე ფორმატით. დასასულია ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე გამოიცეს პოპულარული მეცნიერული გამოკვლევები „შოთა რუსთაველი“ და „ვეფხისტყაოსანი“, პოემის ნაბეჭდ გამოცემათა მოკლე აღწერა, რუსთაველისადმი მიძღვნილი სპეციალური სამეცნიერო და ლიტერატურულ-მხატვრული კრებულები. ცალკე წიგნად გამოვა პოეტის აფორიზმების კრებული. გამოცემების მომზადება დავალებული აქვთ რესპუბლიკის მწერალთა კავშირს, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

გამოცხადდება კონკურსი უკვდავი პოემის საიუბილეო გამოცემის ახალი ილუსტრაციების შესაქმნელად. რესპუბლიკის თეატრები თავიანთ სარეპერტუარო გეგმაში შეიტანენ ახალ დადგმებს, ქართველი კომპოზიტორები შექმნიან მუსიკალურ ნაწარმოებებს „ვეფხისტყაოსნის“ თემებსა და მოტივებზე. დასახულია შოთა რუსთაველის ეპოქის ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების შეკეთებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებანი.

საქართველოს თეატრებსა და კულტურის სახლებში ეაიმართება შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი თემატური საღამოები. ქართველი კინემატოგრაფიტები „ვეფხისტყაოსნის“ მიუძღვნიან მხატვრულ და დოკუმენტურ კინოფილმებს. რესპუბლიკის სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოეწყობა საღამოები და დილები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლები და უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლები საიუბილეო დღეებში გამართავენ შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიებს. საზოგადოება „ცოდნა“ საქართველოს საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოაწყობს ლექციების ციკლს მსოფლიო პოეტური ეპოსის უდიდესი შედევრისა და მისი ავტორის შესახებ. იუბილეს ეძღვნება აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მთქმელთა შემოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება.

განზრახულია შეიქმნას საიუბილეო მედლები, აგრეთვე ღია ბარათები, რომლებზეც დაბეჭდილი იქნება პოემის ილუსტრაციები. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო გამოუშვებს სპეციალურ საიუბილეო ფოსტა მარკებს, რომლებზეც აღბეჭდილი იქნება შოთა რუსთაველის პორტრეტი.

აფხაზეთსა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში შეიქმნება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომისიები.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და სსრ კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წინაშე აღძრულია საკითხი, რომ თბილისში შოთა რუსთაველის იუბილეს დღეებში გაიმართოს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმი და კულტურის მოღვაწეთა საერთაშორისო ფორუმი.

მოკავშირე რესპუბლიკებისა და საქართველოს ხს რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლობის საზეიმო საიუბილეო კრება გაიმართება თბილისში 1966 წლის სექტემბერში. (საქდესი).

# მშვიდობიანად გეფრინოთ, მშვიდობიანად დაგვიბრუნდით!

## პავლე ბელიაევი: ნდობას გავამართლებთ!

**სიტყვა რომელიც ეკიპაჟის სახელით წარმოთქვა ხომალდის „აისი-2“ მეთაურმა კოსმოსში გაფრენის წინ**

ჩვენო ძვირფასო მეგობრებო! ამხანაგებო! ძნელია გადმოგცეთ იმ უდიდესი ბედნიერების შეგრძნება, რომელიც მოგვანიჭა შეგნებამ, რომ ჩვენ ორ საბჭოთა მოქალაქეს, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მოგვანდეს ახალი დავალების შესრულება კოსმოსური სივრცის ათვისებისათვის, რაც ჩვენმა ამხანაგებმა, საბჭოთა კავშირის კოსმონავტებმა დაიწყეს.

ჩვენი ხომალდის „აისი-2“ ეს გაფრენა ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია კოსმოსის კვლევასა და ათვისებაში. ისტორიაში პირველად ადამიანი, რომელიც დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე იქნება, მშობლიურ დედამიწას შეხედავს არა ხომალდის ილუმინატორიდან.

ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მონდობილი დავალების შესრულებას და პირობას ვაძლევთ კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ჩვენს ძვირფას თანამემამულეებს, ყველა ნათესავსა და ახლობელს, რომ მთელ ჩვენს ცოდნასა და უნარს, ნებისყოფასა და ენერგიას მოვახმართ, რათა პირნათლად გავამართლოთ ნდობა.

მალე შეხვედრამდე მშობლიურ დედამიწაზე, ძვირფასო ამხანაგებო!

## ხომალდიდან ალექსი ლეონოვის გამოსვლის დაწვრილებითი ამბავი

*საკდესის ცნობა*

**წარმატებით** გრძელდება კოსმოსური ხომალდის „აისი-2“ გაფრენა. მილიონობით ტელემაყურებელმა ნახა ეკრანებზე კოსმონავტი მფრინავის ალექსი ლეონოვის გამოსვლა ხომალდიდან კოსმოსურ სივრცეში და მისი თავისუფალი ცურვა კოსმოსში. კოსმონავტმა, რომელიც ხომალდის გარეთ იყო, შეამოწმა ხომალდის გარეთა ზედაპირი, ჩართო კინოკამერა და მოახდინა დედამიწისა და კოსმოსური სივრცის ვიზუალური დაკვირვება. პროგრამის შესრულების შემდეგ კოსმონავტი ლეონოვი ხომალდში დაბრუნდა.

კოსმოსური სივრცის პირობებში კოსმონავტი ლეონოვის სხეულში გასვლისა და ხომალდში დაბრუნებისათვის კონტროლს უწევდა ხომალდის მეთაური, რომელსაც მასთან ჰქონდა განუწყვეტელი კავშირი. ხომალდის მეთაურმა პოლკოვნიკმა ბელიაევმა მოახსენა გაფრენის მართვის ცენტრს:

— კოსმონავტის კოსმოსურ სივრცეში გასვლისა და ხომალდში დაბრუნების დავალება მთლიანად შესრულებულია. კაბინაში პარამეტრები ნორმის ფარგლებშია. შემდგომი სამუშაოები მიმდინარეობს ზუსტად ფრენის პროგრამის შესაბამისად.

ყოფნის საერთო დრო იყო დაახლოებით 20 წუთი. აქედან ხომალდის გარეთ — 10 წუთი. კოსმონავტის ყველა ოპერაციის კოდა ოპერაციის

### კოსმოსური ხომალდის „აისი-2“ ეკიპაჟს

## პავლე ივანეს-ძე ბელიაევს, ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვს

ჩვენო ძვირფასო პავლე ივანეს-ძე და ალექსი არქიპოს-ძე!

საბჭოთა ახალგაზრდობა სულითა და გულით მოგიოლოცავთ, ამაყობს თქვენი გმირობით, მთელი თავისი ფიქრებით თქვენთან არის ამ დაუვიწყარ საათებში.

სასიხარულოა იმის შეგნება, რომ კვლავ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვართ პირველნი! კვლავ მთელი მსოფლიო თავაწეული, აღტაცებით შეჰყურებს საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც ახლა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ხელით შეეხნენ კოსმოსს. არა, შეუძლებელია, გავზომოთ გმირობა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს, ჩვენს დიდ სამშობლოს შეუძლია ჩაიდინოს!

თქვენი გაფრენა ახალი, კონკრეტული და მკაფიო დადასტურებაა ჩვენი ყოობილების უძლეველი ძალისა, ლენინის მარად ცოცხალი მოძღვრებისა.

ყველაზე უფრო ახლა ვისურვებდით გადმოგვეცა თქვენთვის ის სითბოს, მღელვარებისა და სიხარულის თუნდ პატარა ნაწილი, რომელიც თითოეულ ჩვენთაგანში თქვენმა გმირობამ გამოიწვია. თუმცა, დედამიწაზე თქვენ ყველაფერ ამას იგრძნობთ საკმაოდ და შეიძლება უფრო მეტადაც.

გელოდებით, გელოდებით, რათა ძმურად სულითა და გულით მოგიოლოცოთ, გითხრათ ლენინური კომკავშირის მადლობა იმისათვის, რომ მაგალითი ხართ ახალგაზრდობისათვის. გისურვებთ წარმატებით ფრენას, მშვიდობიანად დაბრუნებას მშობლიურ დედამიწაზე.

მაგრად გეხვევით.

**სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტი.**

## კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ

*საკდესის ცნობა*

**17 საათისათვის** მოსკოვის დროით კოსმოსური ხომალდის „აისი-2“ ეკიპაჟი, რომელიც ამთავრებდა დედამიწის მეხუთედ შემოვლას, ასრულებდა მუშაობას ფრენის დასახული პროგრამის შესაბამისად. მეორე პილოტი — კოსმონავტ ლეონოვის კოსმოსურ სივრცეში გასვლის ექსპერიმენტის დამთავრებისა და ხომოკოლენის შესვენების შემდეგ გამოარკვიეს კოსმონავტთა მდგომარეობა საექიმო კონტროლის ბიოტელემეტრიული სისტემების მონაცემების საფუძველზე. კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

მაჯისცემა 70 და 72 წუთში. სუნთქვის სიხშირე 18-20. ხომალდის კაბინაში დაცულია მოცემული პირობები. ტემპერატურა 19 გრადუსი ცელსიუსით, წნევა ვერცხლისწყლის სვეტის 760 მილიმეტრი. კოსმონავტებმა მადიანად ისაუზმეს, შემდეგ კი ამხანაგმა ლეონოვმა დაისვენა პროგრამის შესაბამისად. ხომალდის მეთაურმა პოლკოვნიკმა ბელიაევმა შეასრულა ასტრონავიგაციური დაკვირვებისა და გაზომვების კომპლექსი.

ხომალდიდან „აისი-2“ გადმოცემული იყო მისალმება საბჭოთა კავშირის, ევროპის, აზიისა და აფრიკის ხალხებისადმი.




### ვარსკვლავმა უთხრა ვარსკვლავსა

მიწას მოსწყდა და აფრინდა
„აისი“ როგორც ისარი,
მაღლა, კოსმოსში აიჭრა,
რომ აისრულოს მიზანი...
ორ ვაჟკაცს გული რკინისა,
თვალები შავარდნისანი,
ქროლვა და ძალა არწივის,
მუხლები ნაცად მგლისანი...
ერთმა დატოვა ხომალდი,
ხმა ესმა მნათობისანი,
წინ მოეგება გუნდ-გუნდად
ღიმილი ვარსკვლავისანი —
ეუბნებოდნენ ერთმანეთს:
— „სტუმარი ღვთისა, იცანით?
ახლა ხომ ნახეთ გმირობა
საბჭოთა ვაჟკაცისანი.
შორით მოგვესმა გუგუნი
მძლავრი „აისის“ ფრთისანი,
თან სარჩენები მოგვართვეს
გამოგზავნილი ძმისანი.
მართლაც ყოფილხართ ლომგულნი
დედამიწის და ცისანი,
იმხიარულეთ, იფრინეთ,
ხომ აგისრულდათ მიზანი“.

**კ. გოგიაშვილი.**
მხატვარი ი. ქოქიაშვილი.

## ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი

**ხომალდის „აისი-2“ მეორე პილოტი, კოსმონავტი მფრინავი, პოდპოლკოვნიკი**

ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი დაიბადა 1934 წლის 30 მაისს კემეროვოს ოლქის ტისულის რაიონის სოფელ ლისტვიანკაში. იგი სკკპ წევრია 1957 წლიდან.

1953 წელს კომკავშირული გაწვევით შედის საფრენოსნო სასწავლებელში. ლეონოვმა წარჩინებით დაამთავრა ჩუგუევის მფრინავთა სამხედრო საავიაციო სასწავლებელი და შემდეგ მსახურობდა სამხედრო-საჰაერო ძალების სხვადასხვა ნაწილში.

სარდლობა ქებით იხსენიებს ალექსი არქიპოს-ძეს, აფასებს მის კარგ საფრენოსნო თვისებებს: სიმტკიცეს, სიმშვიდეს, მაღალ დისციპლინირებას. ლეონოვს მინიჭებული აქვს „მე-3 კლასის სამხედრო მფრინავის“ კლასიფიკაცია. იგი კარგი პარაშუტისტია, მოახდინა სხვადასხვა სირთულის 115 გადახტომა პარაშუტით. 1960 წელს მას მიენიჭა „სამხედრო-საჰაერო ძალების საპარაშუტო-სადესანტო მომზადების ინსტრუქტორის“ წოდება.

კოსმოსური ეკიპაჟის წევრმა კოსმონავტმა მფრინავმა ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვმა წარმატებით დაამთავრა სპეციალური ფიზიკოსი ბელიაევი ალექსი ლეონოვი!

— ეს სახელები საბჭოთა მამაცი კოსმონავტებისა დღეს ცნობილია მთელ მსოფლიოში.

როგორ არ უნდა იამაყო! „აისი-2“-ის ფრენის დროს პირველად განხორციელდა ხომალდიდან ადამიანის გასვლა კოსმოსურ სივრცეში, ადამიანი მოშორდა კოსმოსურ ხომალდს, წარმატებით ჩატარა გადვალისწინებული კვლევისა და დაკვირვების კომპლექსი და მშვიდობიანად დაბრუნდა ხომალდში.

დიდება გმირებს, დიდება საბჭოთა მეცნიერებასა და ტექნიკას, მათს მშობელ საბჭოთა ხალხს!

**ვ. მახალდიანი,**
**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.**

## ალექსი ლეონოვი

**ხომალდის „აისი-2“ მეორე პილოტი, კოსმონავტი მფრინავი, პოდპოლკოვნიკი**

ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი დაიბადა 1934 წლის 30 მაისს კემეროვოს ოლქის ტისულის რაიონის სოფელ ლისტვიანკაში. იგი სკკპ წევრია 1957 წლიდან.

1953 წელს კომკავშირული გაწვევით შედის საფრენოსნო სასწავლებელში. ლეონოვმა წარჩინებით დაამთავრა ჩუგუევის მფრინავთა სამხედრო საავიაციო სასწავლებელი და შემდეგ მსახურობდა სამხედრო-საჰაერო ძალების სხვადასხვა ნაწილში.

სარდლობა ქებით იხსენიებს ალექსი არქიპოს-ძეს, აფასებს მის კარგ საფრენოსნო თვისებებს: სიმტკიცეს, სიმშვიდეს, მაღალ დისციპლინირებას. ლეონოვს მინიჭებული აქვს „მე-3 კლასის სამხედრო მფრინავის“ კლასიფიკაცია. იგი კარგი პარაშუტისტია, მოახდინა სხვადასხვა სირთულის 115 გადახტომა პარაშუტით. 1960 წელს მას მიენიჭა „სამხედრო-საჰაერო ძალების საპარაშუტო-სადესანტო მომზადების ინსტრუქტორის“ წოდება.

კოსმოსური ეკიპაჟის წევრმა კოსმონავტმა მფრინავმა ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვმა წარმატებით დაამთავრა სპეციალური ფიზიკოსი

## გაიცანით კოსმოსის ახალი გმირები

**კოსმოსური** თანამგზავრი ხომალდის „აისი-2“ მეთაური — კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი **პავლე ივანეს-ძე ბელიაევი** (მარცხნივ) და კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის „აისი-2“ მეორე პილოტი — კოსმონავტი მფრინავი პოდპოლკოვნიკი **ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი** ჩითელ მოედანზე კოსმოსში გაფრენის წინ.

(საკდესის ფოტოქრონიკა. (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

**კოსმოსური** თანამგზავრი ხომალდის „აისი-2“ მეთაური — კოსმონავტი მფრინავი, პოლკოვნიკი **პავლე ივანეს-ძე ბელიაევი** (მარჯვნივ) და კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის „აისი-2“ მეორე პილოტი — კოსმონავტი მფრინავი, პოდპოლკოვნიკი **ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი** ქალიშვილითურთ შავი ზღვის სანაპიროზე დასვენების დროს (1964 წლის ივლისი).

საკდესის ფოტოქრონიკა. (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

## პ. ბ. ბელიაევი

**ხომალდის „აისი-2“ მეთაური, კოსმონავტი მფრინავი, პოლკოვნიკი**

პავლე ივანეს-ძე ბელიაევი დაიბადა 1925 წლის 26 ივნისს ვოლოგდის ოლქის როსლიატინის რაიონის სოფელ ჩელიშჩევოში. იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1949 წლიდან.

1942 წელს, ათწლედის დამთავრების შემდეგ, შევიდა ქარხანაში, სადაც ჯერ ხარატად მუშაობდა, ხოლო შემდეგ მწყ პროდუქციის მიმღებად.

1943 წელს მოხალისედ შევიდა საბჭოთა არმიის რიგებში და ითხოვა გაეგზავნათ საფრენოსნო სასწავლებელში. პავლე ივანეს-ძის თხოვნა დააკმაყოფილეს და გაგზავნეს მფრინავთა სასწავლებელში. 1945 წელს მან წარჩინებით დაამთავრა სასწავლებელი.

ავიაგამანადგურებელი თვითმფრინავის მფრინავად მონაწილეობს ომში იაპონიის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ განაგრძობს სამსახურს ჯარის სხვადასხვა ნაწილში.

სარდლობა დიდად აფასებს პავლე ივანეს-ძის საფრენოსნო თვისებებს, აღნიშნავს, რომ იგი გაბედულად, გულდაჯერებულად ფრინავს.

1959 წელს მას მიენიჭა „მე-2 კლასის სამხედრო მფრინავის“ კლასიფიკაცია.

1956 წელს მას, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მეთაურ მფრინავს, სწავლისათვის გზავნიან წითელდროშოვან სამხედრო-საჰაერო აკადემიაში, რომელიც 1959 წელს დამთავრა.

ამჟამად პავლე ივანეს-ძე დაუსწრებლად სწავლობს წითელდროშოვანი სამხედრო-საჰაერო აკადემიის ადიუნქტურაში.

კოსმოსური ხომალდის მეთაურმა პოლკოვნიკმა პავლე ივანეს-ძე ბელიაევმა წარმატებით გაიარა სპეციალური წვრთნა. ხედმიწევნით შეისწავლა ხომალდის მატერიალური ნაწილი. როგორც ხომალდის მეთაური ჩინებულად არის მომზადებული. იგი კარგი პარაშუტისტია.

საბჭოთა არმიაში კარგი სამსახურისათვის დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლებით: „საბრძოლო დამსახურებისათვის“, „ვერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „იაპონიაზე გამარჯვებისათვის“, „საბჭოთა არმიისა და ფლოტის XXX წელი“, „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 40 წელი“, I და II ხარისხის მედლით „უმწიკვლო სამსახურისათვის“.

პავლე ივანეს-ძის მეუღლეა ტატიანა ფილიპეს ასული ბელიაევა.

ბელიაევების ოჯახში ორი ბავშვია: ქალიშვილი — ირინე, დაბადებული 1949 წელს, და ქალიშვილი ლიუდმილა, დაბადებული 1955 წელს.

კოსმონავტის მამა ივანე პარმენის-ძე ბელიაევი გარდაცვალა 1959 წელს. დედა აგრაფინა მიხეილის ასული გარდაცვალა 1963 წელს.

## ა. ა. ლეონოვი

**ხომალდის „აისი-2“ მეორე პილოტი, კოსმონავტი მფრინავი, პოდპოლკოვნიკი**

ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი დაიბადა 1934 წლის 30 მაისს კემეროვოს ოლქის ტისულის რაიონის სოფელ ლისტვიანკაში. იგი სკკპ წევრია 1957 წლიდან.

1953 წელს კომკავშირული გაწვევით შედის საფრენოსნო სასწავლებელში. ლეონოვმა წარჩინებით დაამთავრა ჩუგუევის მფრინავთა სამხედრო საავიაციო სასწავლებელი და შემდეგ მსახურობდა სამხედრო-საჰაერო ძალების სხვადასხვა ნაწილში.

სარდლობა ქებით იხსენიებს ალექსი არქიპოს-ძეს, აფასებს მის კარგ საფრენოსნო თვისებებს: სიმტკიცეს, სიმშვიდეს, მაღალ დისციპლინირებას. ლეონოვს მინიჭებული აქვს „მე-3 კლასის სამხედრო მფრინავის“ კლასიფიკაცია. იგი კარგი პარაშუტისტია, მოახდინა სხვადასხვა სირთულის 115 გადახტომა პარაშუტით. 1960 წელს მას მიენიჭა „სამხედრო-საჰაერო ძალების საპარაშუტო-სადესანტო მომზადების ინსტრუქტორის“ წოდება.

კოსმოსური ეკიპაჟის წევრმა კოსმონავტმა მფრინავმა ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვმა წარმატებით დაამთავრა სპეციალური წვრთნა, ჩინებულად შეისწავლა კოსმოსური ხომალდის კონსტრუქცია და უმწიკვლოდ მომზადებულია კოსმოსური ფრენა ნებისმიერ ამოცანების შესრულებისათვის.

პოდპოლკოვნიკი ლეონოვი სწავლობს პროფესორ-ტუპოლევის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიაში.

საბჭოთა არმიაში კეთილსინდისიერი სამსახურისათვის იგი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლით „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 40 წელი“ და III ხარისხის მედლით „უმწიკვლო სამსახურისათვის“.

ამჟ. ლეონოვი არწეულია პირველად პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილედ. იგი კედლის გაზეთის რედაქტორია, გატაცებულია ფერწერით — კოსმოდრომზე შესრულებულ მის ნახატებს ნახავთ პერიოდულ პრესაში.

ალექსი არქიპოს-ძე გაიზარდა დიდ და ერთსულოვან ოჯახში.

მისი მამა — არქიპო ალექსის-ძე ლეონოვი ამჟამად პენსიონერია.

დედა — ევდოკია მინას ასული დიასპოროვა.

ალექსი არქიპოს-ძის მეუღლეა სვეტლანა პავლეს ასული ლეონოვა, ჰყავთ ქალიშვილი ვიქტორია, 1961 წელს დაბადებული.

## ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐ, ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

## დიდება კოსმოსის დამპყრობლებს!

**უდიდესი** სიამაყისა და სიხარულის გრძნობით აღიავსო ჩვენი გული. საბჭოთა კავშირში გაშვებულია ახალი კოსმოსური ხომალდი — თანამგზავრი „აისი-2“, რომელსაც მართავენ ხომალდის მეთაური კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი პავლე ბელიაევი და მეორე პილოტი პოდპოლკოვნიკი ალექსი ლეონოვი. კოსმონავტი გმირების, სამშობლოს სახელოვანი შვილების რიგებს შეემატა კიდევ ორი მამაცი და გაბედული კოსმონავტი. თერთმეტმა შვავრდენმა სახელი გაუთქვა ჩვენს სამშობლოს. ჩვენ ვამაყობთ ამ ადამიანებით, ქებას ვასხამთ მათ, კოსმოსის გმირებს!

„აისი-2“-ის გაშვება საბჭოთა მეცნიერებას, სპეციალისტებს, მუშებს, ჩვენი აღმშენებელი ხალხის თვალსაჩინო გამარჯვებაა, ხალხისა, რომლის შემოქმედებითი შრომა, კომუნისტური პარტიის მიერ შთაგონებული, მთელი მსოფლიოს აღტაცებასა და განცვიფრებას იწვევს.

მხოლოდ საბჭოთა ხალხს შეუძლია მოახდინოს ასეთი სასწაულები! კოსმოსურ სიმაღლეებს აღწევს საბჭოთა მეცნიერება, ეუფლება სულ ახალ და ახალ მიჯნებს.

კოსმოსის გმირები, ქვეყნად პროგრესის, მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მათი საგმირო საქმენი აღმაფრთოვანებელი, საინტერესო თქმაა. მხატვრული სიტყვის ოსტატებისათვის. მწერალთა მოვალეობაა თავიანთ ნაწარმოებებში ქება შეასხან საბჭოთა ადამიანს — კომუნიზმის მშენებელს, რომელმაც ოცნება სინამდვილედ აქცია.

დიდება ჩვენს კოსმოსის დამპყრობლებს!

**ი. აბაშიძე,**
**პოეტი - აკადემიკოსი, შ. რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი.**

## საბჭოთა მეცნიერების გამარჯვება

**უკვე მერამდენედ გვიხდება განვაცადოთ სამშობლოს ძლიერების შეგნების აღმაფრთოვანებელი გრძნობა. სამშობლოსი, რომელიც მამაცურად იპყრობს კოსმოსს. „ჩვენ ორი საბჭოთა ადამიანია კოსმოსში“ ეს სახიხარულო ცნობა, რომელიც გუშინ რადიოთი გავიგონე, მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო, გამოიწვია საბჭოთა ადამიანების ახალი ენთუზიაზმი. კოსმოსური ხომალდი „აისი-2“ გაშვებამ კიდევ ერთხელ ცხადყო ჩვენი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ძლიერება.**

**ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები ნაყოფიერად შრომობენ კოსმოსური სივრცის შესწავლის დარგში. ქართველი მათემატიკოსების, ასტრონომების, ბიოლოგების, ფიზიკოსების, კიბერნეტიკოსების, მექანიკოსების ნაშრომებს დიდი წვლილი შეაქვთ მსოფლიო მეცნიერების საგანძურში. ჯერ კიდევ გუშინ კოსმოსი საიდუმლოებით იყო მოცული, მაგრამ საბჭოთა ადამიანმა საიდუმლოების ფარდა ჩამოხსნა სამყაროს. გალაქტიკის სივრცეებში ისმის რუსული სიტყვა, კოსმოსური მტვერი ედება ჩვენს წითელვარსკვლავიან ხომალდებს და დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა ადამიანი პირველი დაადგამს ფეხს უცნობ პლანეტაზე.**

**პავლე ბელიაევი და ალექსი ლეონოვი — კიდევ ორი სახელი გახდა ბევრისათვის ახლობელი სახელი. და როგორც ნამდვილად ახლობელ ადამიანებს, გვნდა ვუსურვოთ მათ მშვიდობით დაბრუნება დედამიწაზე და საპატიო დავალების წარმატებით შესრულება. აქ „კოსმოსურ ძმებს“ ელის ჩვენი ქვეყნის სითბო, რომელიც ახლა ყურს უგდებს მათს სუნთქვას კოსმოსში.**

**ს. დურმიშიძე.**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი.

## შთამაგონებელი მაგალითი

**ევის სისწრაფით მოედო სოფელს ამბავი, რომ კოსმოსურ ორბიტაზე გაყვანილია ორადგილიანი პილოტირებული ხომალდი „აისი-2“. ძნელია სიტყვების პოვნა, რომ გამოხატო აღფრთოვანება ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი ბრწყინვალე გამარჯვების გამო.**

**კოსმონავტთა გმირობას ქართველი მეჩაიეები უასასუხებენ ახალი შრომითი წარმატებებით პლანტაციებში. მთავრდება ნიადაგის საგაზაფხულო გადაბარვა, ბუჩქების გასხვლა, მინერალური სასუქების შეტანა.**

**ძვირფასო კოსმონავტებო პავლე ივანეს-ძე ბელიაევ და ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვ!**

**მიიღეთ ჩვენი, მეჩაიეთა სალამი დედამიწიდან! სულითა და გულით გისურვებთ კარგად ყოფნასა და მშვიდობით დაბრუნებას.**

**მ. შაქარიშვილი,**
**სოციალისტური შრომის გმირი, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მეჩაიე.**

**სურათზე:** თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშაკთა ჯგუფი უსმენს საკდესის ცნობას კოსმოსურ ხომალდს „აისი-2“-ს გაფრენის შესახებ.

ფოტო ს. კილაძისა.

## გვიამბობს ნ. ხოხლოვი

**პრეს-კონფერენცია „იზვესტიის“ რედაქციაში**

გაზეთ „იზვესტიის“ რედაქციაში 28 მარტს გაიმართა პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. ეს პრეს-კონფერენცია მიეძღვნა აფრიკის ქვეყნებში „იზვესტიის“ კორესპონდენტის ნიკოლოზ ხოხლოვის საბჭოთა კავშირში დაბრუნებას. პრეს-კონფერენციაში მონაწილეობდა 200-მდე ჟურნალისტი.

გაზეთის უცხოეთის განყოფილების რედაქტორი მ. ა. ცეტლინ-მიხაილოვი შეკრებილთა სახელით გულთბილად მიესალმა ნიკოლოზ ხოხლოვსა და მის მეუღლეს. გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ვ. ი. სტეპანოვმა აღნიშნა, რომ 46 დღის მანძილზე საბჭოთა ჟურნალისტი იმყოფებოდა ლეოპოლდვილის საპყრობილეში მხოლოდ იმის გამო, რომ ობიექტურად წერდა კონგოს მდგომარეობის შესახებ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ნიკოლოზ ხოხლოვმა. მან დაწვრილებით იკადაჩაკა იმაზე, თუ როგორ გამოხატავდნენ თავიანთ აღშფოთებას ლეოპოლდვილის პოლიციის მოქმედების გამო კონგოში მყოფი უცხოელი ჟურნალისტები, მორალურად მხარს უჭერდნენ მას იმ დროს, როცა საპატიმროში იყო. ნიკოლოზ ხოხლოვმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ იგი გაათავისუფლეს იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ განახორციელა, და საერთაშორისო საზოგადოებრიობის პროტესტების შედეგად. საბჭოთა ჟურნალისტმა გულითადად მადლობა უძღვნა ჩეხოსლოვაკიის ლეოპოლდვილის საელჩოს და ელჩ ამბანგა ვრუშას, რომელიც ენერგიულად ცდილობდა მის განთავისუფლებას.

ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობამ პროტესტს აცხადებდა ლეოპოლდვილის პოლიციის პროვოკაციათა წინააღმდეგ, არაფერი არ ყოფილა ნათქვამი კონგოს პრესაში, თქვა ხოხლოვმა. ჩემს საქალალდეში საბრალდებო დოკუმენტების ნაცვლად იყო სტატიები, რომლებსაც მოსკოვში ვგზავნიდი. ბრალდება, რომ თითქოს უკანონოდ ვიმყოფებოდი ლეოპოლდვილში, აგრეთვე უსაფუძვლოა. მე მქონდა ვიზა, რომელიც ძალაში იყო ექვსი თვის მახანილზე — 1965 წლის აპრილამდე. მთელი სასამართლო პროცესი იყო ფარსი.

ნიკოლოზ ხოხლოვმა დაწვრილებითი ვასუხი საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების შეკითხვებზე. (საკდესი).

## ა. ა. გრომიკო ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Მ. ᲡᲢᲘᲣᲐᲠᲢᲡ

**ლონდონი,** (საკდესი). 27 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მეორედ შეხვდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს მ. სტიუარტს, აზრთა გაზიარების დროს შეეხნენ ბახიარაღების, ევროპის უშიშროების, გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის პრობლემებს. შეხვედრა მიმდინარეობდა გულახდილ მეგობრულ ვითარებაში.

## ᲮᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ

**ლონდონი,** 18 მარტი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტთა ჯარების ავიაცია გუშინ თავს დაესხა სოფელ მანკუანგს, რომელიც ქალაქ და-ნანგის (სამხრეთი ვიეტნამი) მახლობლად მდებარეობს. როგორც რეტერის საააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, სოფელი სასტიკად დაბომბეს, მოსპობილია ბევრი სახლი, სკოლა. თავდასხმის შედეგად დაიხოცა სოფლის 45 მცხოვრები, მათ შორის 37 მოსწავლე.

## ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲛᲐᲠᲨᲘ

**ნიუ-იორკი,** 18 მარტი. (საკდესი). გუშინ ალაბამის შტატის დედაქალაქ მონტგომერიში სასამართლოს შენობის წინ 5 ათასმა ზანგმა და თეთრკანიანმა გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ, რომ პოლიციელები მკაცრად გაუსწორდნენ ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებების დაცვის მანიფესტაციის მონაწილეებს. საპროტესტო მარშში მონაწილეობდა ასობით სტუდენტი, რომლებიც შეერთებული შტატების ჩრდილოეთის შორეული ქალაქებიდან ჩამოვიდნენ. მარშს სათავეში ედგა ცნობილი ზანგი მოღვაწე მარტინ ლუთერ კინგი.


ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ
ᲐᲛᲘᲜᲐ


## მსოფლიო აღტაცებულია

**მოსკოვი,** 18 მარტი. (საკდესი). უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა რუბრიკით „ელვა“ გადასცეს მოსკოვიდან **მიღებული ცნობა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების შესახებ. რომ კოსმოსურ სივრცეში გაშვებულია თანამგზავრი ხომალდი „აისი-2“. ხომალდს მართავს ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში არიან ხომალდის მეთაური — კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი პავლე ბელიაევი და მეორე პილოტი — კოსმონავტ. ძეორნავი, პოდპოლკოვნიკი ალექსი ლეონოვი.**

**„საბჭოთა კავშირმა დღეს გამოაცხადა, რომ ამ ხომალდზე ეკიპაჟი კოსმოსური ხომალდი ორი კოსმონავტითურთ“, — სასწრაფოდ გადასცა ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ.**

**ტოკიო,** 18 მარტი. (საკდესი). მთელს იაპონიას სწრაფად მოედო ცნობა, რომ საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „აისი-2“ ორი კოსმონავტითურთ. საკდესის ცნობის მიღებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ეს ცნობა აღნიშნეთ „ელვა“ გადასცა ყიოდო ცუსინის სააგენტომ. ხოლო შემდეგ იაპონის რადიომ, რომელმაც უმალვე შეწყვიტა თავისი გადაცემები.

**სტოკჰოლმი,** 18 მარტი. (საკდესი). შეეციის რადიომ უკანასკნელი ცნობების სასწრაფო გადაცემაში მსმენელებს აუწყა, რომ საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „აისი-2“ ორი კოსმონავტითურთ.

**პარიზი,** 18 მარტი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ტელეტაიპი, რომელიც მორიგ დიდმნიშვნელოვან ცნობას ბეჭდავდა სამხრეთ ვიეტნამიდან, უეცრად შეჩერდა. შემდეგ კვლავ ამოშვიდა: „ელვა — საბჭოთა კავშირმა გაუშვა კოსმოსური ხომალდი ორი კოსმონავტითურთ“. ამას მოჰყვა საკდესის მიერ გადაცემული ოფიციალური დაწვრილებითი ცნობა ხომალდის გაშვების შესახებ.

„ორი რუსი კოსმოსში. მიღებული ცნობების თანახმად, ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს. ბედნიერი მგზავრობა ვუსურვოთ მათ“, — აცნობა პარიზის რადიოსადგურებმა მილიონობით თავიანთ მსმენელებს.

**ნიუ-იორკი,** 18 მარტი. (საკდესი). ამერიკის ასოშიეიტედ პრესისა და იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საინფორმაციო სააგენტოებმა შეწყვიტეს თავიანთი ჩვეულებრივი გადაცემები, რათა სასწრაფოდ გადაეცათ უახლესი ამბავი — ცნობა, რომ ორბიტაზე გაყვანილია საბჭოთა კოსმოსური ხომალდი „აისი-2“, ხომლებსაც მართავენ კოსმონავტი მფრინავები პავლე ბელიაევი და ალექსი ლეონოვი.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, რომ კოსმოსურ სივრცეში „აისი-2“ გაყვანის შესახებ ცნობა მოვიდა ხუთი დღით ადრე იმ დროამდე, როცა შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ გაუშვან პირველი კოსმოსური ხომალდი ორი კოსმონავტითურთ, რომელმაც პროგრამით დედამიწას სამჯერ უნდა შემოუფრინოს.

სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ და მუშაობენ კვლევის პროგრამის შესაბამისად.

**ბონი,** 18 მარტი. (საკდესი). ბოხუმის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ობსერვატორიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტმა უკვე 10 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის დროით აღრიცხა ახალი საბჭოთა კოსმოსური თანამ

**დღეს გაიხსნება საქართველოს მხატვართა VI ყრილობა**
**გულითადი სალამი ყრილობის დელეგატებს!**

# ცხოვრების მხარდამხარ

მხატვარი... რამდენად დიდი და მნიშვნელოვანი აზრია ჩაქსოვილი ამ ერთ სიტყვაში! რა წამს გაიგონებთ მას, გონების თვალის წინ წარმოგიდგებათ სასწაულმოქმედი ყალმიხა და საკრეთელის ჯადოქარი, რომელიც, ილია ჭავჭავაძის ენით რომ ვთქვათ, „აიყოლიებს ხოლმე გატაცებით ადამიანის გულისყურს... გამცნებთ საჭიროს და საზნეო მართალს, რომელიც ისე შიშველად, ხორცშეუსხმელად, უსახოდ, უსურათოდ, უფერულოდ, ყველასათვის ადვილი დასანახი არ არის“. მისთვის ნიშანდობლივია მუდამ მაძიებელი გონება და მგზნებარე გული, რომელიც შეხმატკბილებულად ძგერს ხალხის გულთან ერთად. უამისოდ არასდროს არ შექმნილა და არც შეიძლება შეიქმნას ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები, რომელიც მრავალი უხილავი ძაფით უკავშირდება ადამიანის სულიერ სამყაროს, უპასუხებს მის საუკეთესო მისწრაფებებსა და ინტერესებს, აღვიძებს ცხოვრებისადმი ესთეტიკურ დამოკიდებულებას. აქ ერთი ზერელე შთაბეჭდილება როდია საკმარისი. დგახარ ასეთი ნაწარმოების წინ და რაც უფრო მეტად უყურებ მას, მით უფრო ღრმავდება განცდა, იღვიძებს გონება, იბადებიან აზრები და შეფასებანი, რომლებიც ამ ნაწარმოებს მიიჩნევენ არა მარტო მხატვრულ, არამედ დიდ საზოგადოებრივ მოვლენად. აქედან ისიც აშკარაა, რომ ჩვენი მხატვრები, ღრმა ფსიქოლოგებიც უნდა იყონ. არა მარტო ცხოვრების კარგი ცოდნა, მასში მომდინარე ძვრების არსში ჩაწვდომა, არამედ ცალკეულ ადამიანებში ამ ძვრების შედეგების გამოვლინების ფორმათა მთელი სიმდიდრის დანახვა და კონკრეტულ მხატვრულ სახეებში ჩვენება — ეს შემოქმედებითი ძიების ნაყოფიერების უტყუარი საწინდარია.

ამის თქმა დაგვჭირდა არა იმის გამო, რომ ქართული სახვითი ხელოვნება გვერდს უვლიდეს ჭეშმარიტი მხატვრული შემოქმედების ამ შარაგზას. ამის არა ერთი და ორი შთამაგონებელი და მისაბაძი მაგალითი მოგვცა ქართველ მხატვართა უფროსი თაობის ბეგრმა წარმომადგენელმა. ამ მხრივ ნაყოფიერი აღმოჩნდა შემოქმედებითი ახალგაზრდობის ძიებაც. სხვაზე რომ არ ვილაპარაკოთ, ამის ნათელი დამადასტურებელია, მაგალითად, ახლახან გახსნილი გამოფენის „მშვიდობის სადარაჯოზე“ სიექსპოზიციი მასალა, კერძოდ თორდიას ფერწერული ტილო „პირისპირ“ და მესხიძის კომპოზიცია „მამა“, რომლებიც გამოირჩევიან შთაგონიერის სერიოზულობით და მხატვრული გადაწყვეტის ორიგინალობითა და მომწიფებული ოსტატობით. შეგვეძლო გაგვეხსენებინა იმავე გამოფენაზე წარმოდგენილი გელოვანის „ოჯახი დუშეთიდან“, იგნატოვის „წარმოდგენის შემდეგ“, ამაშუკელის „რევოლუციის“, ოჩიაურის „დაბადების წელი — 1945“ და სხვ.

მაგრამ ყველაფერი ეს მიგვითითებს მხოლოდ იმაზე, რომ ქართულ სახვით ხელოვნებაში უფრო მკვეთრად ჩანს იმის ტენდენცია, რომ ცხოვრების აქტუალური თემები ეისახოს თანამედროვეობის გაზრდილ ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დონეზე. თუმცა ჯერ კიდევ გაგვიჭირდება იმის თქმა, რომ ამ ტენდენციამ ჩვენს მხატვართა შემოქმედებაში უკვე დაიკავა გაბატონებული პოზიცია და მთლიანად განსაზღვრავს მის შინაარსსა და მიმართულებას. ამ მხრივ გასაწევი კიდევ დიდი მუშაობა, რაც პირველ რიგში მოითხოვს შემოქმედებითი ძიებების გამოზნულობას, რეალისტური ოსტატობის უკეთ მომარჯვებას. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს თემატიკური გამოფენების მოწყობის პრაქტიკას, რაც თვალნათლივ დაგვიდასტურა გამოფენის „მშვიდობის სადარაჯოზე“ გამოცდილებამ.

მრავალი მოსაზრებით ამ გამოფენას საეტაპო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების გზაზე. მისთვის გათვალისწინებულ ნაწარმოებებზე მუშაობამ რესპუბლიკის მხატვართა კოლექტივი სერიოზული შემოქმედების გზაზე დააყენა. დიდი მნიშვნელობის თემამ მხატვრებში თავიდანვე აღძრა მაღალ მხატვრულ განზოგადებათა მიღწევის სურვილი. ამ მიმართულებით წარმართულმა შემოქმედებითმა ძიებამ კი თავის მხრივ შინაგანი აუცილებლობით მოითხოვა ღრმა შინაარსიანი და ორიგინალური იდეურ-შემოქმედებითი შთაფიქრის ფორმებისა და ფუნქციის დასახვა, ამან შეაძლებინა მათ უფრო სრულად გამოეძიებინათ თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და ინდივიდუალობა, რამაც დიდი მრავალფეროვნება შესძინა გამოფენის ექსპოზიციას. ყველაფერი ეს იმის უტყუარი საწინდარია, რომ მომავალი დიდი სამხატვრო გამოფენები, რომლებიც კვლავ თემატიკური ხასიათისა იქნება, დაადასტურებენ იმას, რომ ზემოხსენებული ტენდენცია ნამდვილად გაბატონებულ პოზიციას დაიკავებს ქართული სახვითი ხელოვნების შემოქმედებითს პრაქტიკაში, რაც გაზრდის მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, კიდევ უფრო ნაყოფიერს გახდის მის მონაწილეობას დიადი მომავლის მშენებლობაში.

ზემოთქმული არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ეს მონაწილეობა მხოლოდ ახალი მხატვრული ნაწარმოებების შექმნით გამოიხატება. ხელოვნების ფართოდ შეჭრა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების, ყოფის ყველა მხარეში — ჩვენი თანამედროვეობის ნიშანთვისებაა. ძნელია მოიძებნოს ჩვენი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ისეთი უბანი, რომელსაც არ სჭირდებოდეს მხატვრის მომთხოვნი გემოვნება და შემოქმედებითი ინიციატივა. მას ენიჭება მთავარი როლი ყოფასა და წარმოებაში ესთეტიკური საწყისის დანერგვის საქმეში. ამ თვალსაზრისით ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს იმ ფაქტის მნიშვნელობა, რომ საქართველოში უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც მუშაობს სპეციალური სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიურო, რომელშიც გაერთიანებულნი მხატვრებმა ბევრი რამ სასარგებლო გააკეთეს იმისათვის, რომ ჩვენში დანერგილიყო ტექნიკური ესთეტიკისა და მხატვრული კონსტრუირების ტრადიციები. ამან თავისი კეთილმყოფელი გავლენის კვალი უკვე დაანინა რესპუბლიკის საწარმოთა პროდუქციის მხატვრულ ხარისხზე. საჭიროა, რომ საწარმოებმა უფრო ფართოდ გამოიყენონ ყველა ის შესაძლებლობა, რაც ხსენებულ ბიუროს გააჩნია.

მითითებული მიმართულებით დიდ მუშაობას ეწევა თბილისის სამხატვრო აკადემია, სადაც ჯერ კიდევ 1959 წელს დაარსდა სრულიად ახალი ფაკულტეტი — დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი, — რომელიც ამზადებს სახალხო მეურნეობის მრავალგვარი დარგებისათვის საჭირო შემოქმედებითი სპეციალისტების მხატვრებს. წელს ამ ფაკულტეტის პირველი გამოშვება მოხდება, რაც კიდევ უფრო გაზრდის მხატვარ-კონსტრუქტორების რიცხვს ჩვენს რესპუბლიკაში, ხოლო ქართულ სახვითი ხელოვნებას გაამდიდრებს როგორც ენერგიულად, ისე ახალი დარგებით.

ჩვენი მხატვრების დიდი საზრუნავია ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდისათვის ხელისუწყობა და ამ საქმის სწორი მიმართულებით წარმართვა. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა სკოლაში ხატავს მხატვრები ასწავლიდნენ. დროა ბოლო მოეღოს ზოგიერთი სკოლის მუშაკის მხრიდან ამ საგნის მნიშვნელობის შეუფასებლობას. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სკოლის ერთ-ერთი სერიოზული ამოცანაა მოსწავლეთა ზოგადი მხატვრული განათლებისა და შემოქმედებით განვითარების უზრუნველყოფა. ამაზე ნაკლებად როდი უნდა ვიფიქროთ, ვიდრე მათს ლიტერატურულ აღზრდაზე, ვინაიდან დღესდღეობით სახვითმა ხელოვნებამ დიდი ადგილი დაიკავა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მარქსმა სამართლიანად აღნიშნა, რომ, ვისაც ხელოვნებით დატკბობა სურს, ის უნათოდ მხატვრულად განათლებული ადამიანი უნდა იყოსო.

ჩვენი ქვეყანა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სახვითი ხელოვნება ფართოდ შეიჭრას საბჭოური ყოფის ყოველ მხარეში. სწორად დაყენებული ესთეტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობა გაუღვიძებს მოსწავლეებს სახვითი ხელოვნებისადმი ინტერესს, დაეხმარება მის გაგებაში, ესთეტიკურ ღირებულებათა შეფასებაში. ცხადია, რომ ამით ზღვრდება სახვითი ხელოვნების მომთხოვნი მაყურებელი, რაც თვით ამ ხელოვნებას დიდ სტიმულს მისცემს შემდგომი ზრდისა და სრულყოფისათვის. ყველაფერი ეს ჯეროვნად რომ განხორციელდეს, საჭიროა პირველ რიგში სათანადო პედაგოგიური კადრების აღზრდა, რაც მხოლოდ თბილისის სამხატვრო აკადემიის კედლებში არის შესაძლებელი, სადაც ამ მიზნით აუცილებლად უნდა შეიქმნას სამხატვრო-პედაგოგიური ფაკულტეტი.

ამგვარად, ქართული სახვითი ხელოვნების განვითარება განუყოფლად დაკავშირებულია ცხოვრებასთან. სულ უფრო და უფრო მეტად იშლება მისი მოქმედების ასპარეზი, რაც უაღრესად დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს რესპუბლიკის მხატვრებს. მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ რაც უფრო მიზნამსწრაფია შემოქმედებითი ძიება, რაც უფრო მდიდარია მხატვრული მეტყველების ენა, რაც უფრო ღრმად სწვდება მხატვარი სინამდვილის ჭეშმარიტ ესთეტიკურ ღირებულებებს, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება მის მიერ შექმნილი ნაწარმოების განცდა, უფრო საგრძნობი გახდება მისი გავლენა ჩვენი ადამიანების ცნობიერებასა და გრძნობებზე. მაშინ ის ნამდვილად დაეხმარება მათ შეიცნონ ჭეშმარიტად მშვენიერი ცხოვრებაში, შექმნის ყველა პირობას, რათა კვლავ ილია ჭავჭავაძის ენით რომ ვთქვათ, „მთლად და სავსებით ადამიანმა გამოთქვას თავისი სულის მოძრაობა და თავისი გულის ძარღვისცემა“.

**იგორ ურუშაძე.**

# სახვითი ხელოვნება ხალხის სამსახურში

**გუშინ**, როცა ამ პატარა წერილს დასაწერად მაგიდას მივუჯექი, რადგან მსოფლიოს ამცნო საბჭოთა მეცნიერების ახალი დიდი გაბედული ამბავი: ორმა მძაფცმა საბჭოთა კოსმონავტმა კვლავ შეუტია კოსმოსს... მართლა ეს ფაქტი საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ განსაკუთრებულია ჩვენი დრო, განსაკუთრებულია ადამიანის გონების გმირული შემართებით, ხალხის საუკუნოვანი ნოსტალგიისა და ნაფიქრალის ხორცშესხმით. დიახ, ჭეშმარიტად გმირულია ჩვენი ეპოქა!

სწორედ ამიტომ ხელოვნების ოსტატებმა მთელი შემოქმედებითი ძალებით უნდა იმუშაონ, რომ ფეხი აუწყონ თანამედროვეობას, რადგან თუ დროს ჩამორჩი, თუ მართებულად ვერ ასახე ცხოვრება, მაშინ ხალხიც ვერ გაიგებს შენს შემოქმედებას. ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ ხელოვანი დაკარგავს ადამიანებზე ესთეტიკური ზემოქმედების უნარს, ვეღარ აღზრდის მათ თანამედროვეობის სულისკვეთებით და უსიცოცხლო ფენომენად გადაიქცევა.

ჩვენი ეპოქის მხარდამხარ დგომა პუნებრივად მოითხოვს ნოვატორობას, ახლის ძიებას, მაღალ პროფესიულ ოსტატობას. საბჭოთა მხატვრების შემოქმედებითი მეთოდი — სოციალისტური რეალიზმი თავისი ბუნებით ნოვატორულია. მაგრამ ნოვატორობა ჩვენ გვესმის არა როგორც ფუჭი ფორმალური ძიება, არამედ როგორც უაღრესად საჭირო, რეალურად ცხოვრებაში მოვლენა ხელოვნებაში. ნოვატორი ხელოვანი სწორედ ის არის, ვინც ჩასწვდება თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებას, გაიგებს საბჭოთა ადამიანის გულისნადებს, ფიქრს, მისწრაფებას და ისეთ რეალისტურ მხატვრულ ფორმას მოუძებნის თავის ნაწარმოებს, რომ ხალხმა შეიყვაროს და გაიგოს იგი. თუ ადამიანს ესთეტიკურ ტკბობას ანიჭებს ხელოვნების ნაწარმოები, მაშინ ამ უკანასკნელს დიდი ზემოქმედებითი ძალა აქვს და იგი კეთილი საწყისების აღზრდა-განვითარებას უწყობს ხელს.

საქართველოს მხატვართა მეექვსე ყრილობა ნამდვილად მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ჩვენი ოსტატების, ინტელიგენციის ცხოვრებაში. იგი თვალს გადაავლებს, შეაჯამებს განვლილ მუშაობას, ყურადღებას გაამახვილებს ზოგიერთ ნაკლოვან მხარეზე, დასახავს ახალ გზებს და ამცნებს ქართული სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

ქართული სახვითი ხელოვნება ყოველთვის იყო მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ხელოვნების მოწინავე უბანი, ყოველთვის მხარში ედგა რესპუბლიკის მშრომელებს მათს თავდადებულ შრომაში ახალი ცხოვრებისათვის. მთელი შეგნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მხატვრები არ დასთმობენ მოპოვებულ მოწინავე პოზიციებს და კვლავაც შემოქმედებითი გამარჯვებისათვის იბრძოლებენ.

**უჩა ჯაფარიძე.**
სსრ კავშირის სახალხო მხატვარი.

# მხაჯვარი და ეპოქის იდეა

საქართველოს საბჭოთა მხატვრების VI ყრილობა მუშაობას იწყებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების შესანიშნავ დროს, რომელიც აღსავსეა შემოქმედებითი გზნებითა და შთაგონებული შრომით.

ამ სურათზე, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტმა ვლ. გინზბურგმა გუშინ გადაიღო, თქვენ ხედავთ ჩვენი სახვითი ხელოვნების ოსტატებს, საქართველოს მხატვართა მეექვსე ყრილობის დელეგატთა ერთ ჯგუფს. მარცხნიდან მარჯვნივ, სხვადან — სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი უ. ჯაფარიძე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრები შ. მიქაბაძე და შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატი ლ. გუდიაშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ზ. ლეშავა, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. სანაძე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ნ. კანდელაკი; დგანან — მ. ყიფშიანი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი პ. მახარაძე, ბ. ხალათოვი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. მაისაშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი შ. ხოლუაშვილი, ლ. სიდიშვილი, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატი მ. ამაშუკელი.

# გეგმები და ოცნებები

როცა მეკითხებიან, როგორია თქვენი მომავალი გეგმები, პასუხის გაცემა ძალიან მიჭირს: ბევრმა, საუკეთესოდ, ბევრი განხორციელების ვადებსაც ბეგულისხმობს. ზუსტი ვადების დადგენა კი შემოქმედებაში შეუძლებლად მიმაჩნია. მე მაქვს სურვილები და ოცნებები; დაწყებული მაქვს ციკლი ძველი და ახალი თბილისი, მინდა ბალე დავამთავრო; ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლის თემაზე — „ეს არ უნდა განმეორდეს“ ვამთავრებ ორ ტილოს.

დიდი ხანია ვოცნებობ მუსიკალურ ნაწარმოებთა მხატვრულ ამეტყველებაზე, ვცადე დებიუსის „ჩაძირული ქალაქი“ და „ხაბიჯები თოვლზე“ გრაფიკულად გამომესახა, მაგრამ ჯერჯერობით კმაყოფილი არა ვარ ამ ცდებით. განსაკუთრებით მიტაცებს ნ. სულხანიშვილის ქორალები, აგრეთვე პროკოფიევის მეშვიდე სონატის მეორე ნაწილი. განზრახული მაქვს ეს ქმნილებანი ფერწერულ ტილოზე ავაღერო.

ქართველ პოეტებს ბევრი შესანიშნავი ლექსი დაუწერიათ ჩვენს ლამაზ სამშობლოზე, ძალიან მინდა ეს ლექსები, მხატვრულად გაფორმებული, ისეთ პატარა წიგნად ამეკინძა, რომელიც ყველას გულის ჯიბეში მოთავსდებოდა.

შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე დიდი დღესასწაული იქნება. ამ საერთო ზეიმში ჩემი წვლილი მინდა შევიტანო „ვეფხისტყაოსნის“ პეიზაჟების სერიით.

სურვილები და ოცნებები მრავალია, შეიძლება ჩემთვის ძნელად განსახორციელებელიც, მაგრამ ოცნებისათვის ხომ არ არსებობს საზღვარი?!

**ელენე ახვლედიანი.**
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.

# საიმედო საწინდარი

**დღეს** საბჭოთა საქართველოს მხატვრები მეექვსედ შეიკრიბებიან თავიანთ ყრილობაზე, რომ გონების თვალით გადახედონ უკანასკნელ პერიოდში გაწეულ მუშაობას და უახლოესი მომავლის ახალ შემოქმედებით ამოცანებზე იმსჯელონ.

ახლა ჩვენს ქვეყანაში დიდი მზადებაა ორი დიადი თარიღის — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახვედრად. მთელი საბჭოთა ხელოვნება მოწოდებულია შექმნას მაღალმხატვრული, მაღალიდეური ნაწარმოებები, რომლებშიც სიმართლით აისახება თანამედროვე ეპოქა. ამ დიდ შემოქმედებით ლაშქრობაში, ცხადია, თავიანთ სიტყვას იტყვიან საქართველოს ხელოვნების მუშაკები, კერძოდ, ქართველი მხატვრები.

ჩვენი რესპუბლიკის ფუნჯისა და საჭრისის ოსტატები თავიანთ დიდ თავყრილობას ხელცარიელნი როდი შეხვდნენ. სახელმწიფო გალერეაში მოწყობილი გამოფენა „მშვიდობის სადარაჯოზე“ ქართველ მხატვართა ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიშია ამ მოვლენისადმი. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ გამოფენაზე უხვად არის წარმოდგენილი ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელსაც ღრმად აქვს შეგნებული ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა და სოციალისტური რეალიზმის მყარ ნიადაგზე დგას. შემოქმედებითი ძიება და ჭეშმარიტი ნოვატორობა, რასაც მათ ნამუშევრებში ვხედავთ, ჩვენი მხატვრობის უკეთესი მომავლის საიმედო საწინდარია.

გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ყრილობას, რომელზეც, ცხადია, გაიშლება ფართო სკამბაასი არა მარტო უკვე მიღწეულზე და მოპოვებულზე, არამედ ზოგიერთ საჭირბოროტო, სადღეისო საკითხზე, ვილაპარაკებთ ნაკლოვანებებზე, შევეცდებით გავარკვიოთ მათი მიზეზები და დავსახოთ ახალი გზები ჩვენი მხატვრობის მომავალი განვითარებისათვის.

მაისში მოსკოვში გაიხსნება საკავშირო ამოფენა „მშვიდობის სადარაჯოზე“. ჩვენი რესპუბლიკის მხატვრები ფართო მონაწილეობას მიიღებენ ამ გამოფენაში. პირადად მე უკვე დამზადებული მაქვს მოწინავე საბჭოთა ადამიანების სკულპტურული პორტრეტები — გამოკვეთილი მარმარილოში.

მინდა ნაყოფიერი მუშაობა ვუსურვო ჩვენს ყრილობას.

**ნ. ჯაკობაძე.**
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.



# ქუთაისელ მხატვართა ფუნჯით

**ამ ბოლო** ხანებში ქუთაისელმა მხატვრებმა ბევრი ახალი საგულისხმო ნაწარმოები შექმნეს და ქალაქის მშრომელებს სამი საკუთარი გამოფენა უჩვენეს. გამოფენის დღეებში ქუთაისის სურათების გალერეა თუდამ სავსე იყო ხალხით.

გამოფენებზე ყოველთვის ახალი შთაბეჭდილებით იყვნენ წარმოდგენილი მხატვრები აჩრდილ და მიხეილ ჩოგოვაძეები, გიორგი ჩხეტია, გიორგი მილორავა, ელადიმერ გვეტაძე, ვარლამ მახარობლიძე, მოკანდაკეები გიორგი ნიკოლაძე, ჯაბელო აბესაძე, აგრეთვე ახალგაზრდა მხატვრები გ. კიკნაძე, გ. ცვიმსაძე, გ. გაგოშიძე და სხვ.

მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების ინიციატივით ქუთაისის სურათების გალერეაში საქართველოს ხელოვნების მუზეუმიდან ჩამოტანილ იქნა ნიკო ფიროსმანის სრული გამოფენა. მიეწყო სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის, მხატვარ კოტე ჭახვეტაძის და სხვების პერსონალური გამოფენები.

საბჭოთა სახვითი ხელოვნების პროპაგანდისა და მშრომელთა ფართო ფენებისათვის მისი გაცნობის მიზნით ქუთაისელმა მხატვრებმა ქალაქის მსხვილ საწარმოებში მოაწყეს რამდენიმე გასვლითი გამოფენა, ხოლო თავის მხრივ ქუთაისის საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ — მხატვრებთან შეხვედრები.

როგორც ცნობილია, თბილისის სურათების სახელმწიფო გალერეაში მიმდინარე წლის თებერვალში გაიხსნა საქართველოს მხატვართა რესპუბლიკურ გამოფენა თემაზე — „მშვიდობის სადარაჯოზე“, სადაც სხვა ქართველ მხატვრებთან ერთად წარმოდგენილია ქუთაისში მომუშავე მხატვრები: გ. ნიკოლაძის, ჯ. აბესაძის და ამ სტროფოხების ავტორის ახალი ნამუშევრები.

ამჟამად ქუთაისელმა მხატვრებმა ფართოდ გაშალეს მზადება ორი ღირსშესანიშნავი თარიღისათვის — საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

ასე შემოქმედებითად ხვდებიან ქუთაისელი მხატვრები საქართველოს მხატვართა მე-6 ყრილობას.

**ვ. მიზანდარი.**
საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი.

**გუშინ** ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ს. კილაძე სახელოსნოში ეწვია ცნობილ ქართველ მოქანდაკეებს კოტე და მერაბ მერაბიშვილებს, რომლებსაც თქვენ ამ სურათზე ხედავთ.

# აქ მარმარილო გაცოცხლებულა

**ცნობილ** ქართველ მოქანდაკეებს კოტე და მერაბ მერაბიშვილებს სახელოსნოში ვეწვეთ.

ამ ორი მოქანდაკის — მამისა და შვილის შემოქმედებას კარგად იცნობენ ჩვენში.

ისინი ავტორები არიან ისეთი ცნობილი ქანდაკებებისა, როგორიც არის დიდი შოთას ძეგლი რუსთაველის მოედანზე და გრიბოედოვის ძეგლი სანაპიროზე.

პირველის ავტორი გახლავთ ქართველ სკულპტორთა უფროსი თაობის წარმომადგენელი, საქართველოს სახალხო მხატვარი კოტე მერაბიშვილი, მეორისა კი მისი ვაჟიშვილი მერაბ მერაბიშვილი.

მასპინძლებმა გულთბილად შეგვიპატიჟეს ვრცელ სახელოსნოში, ქანდაკებებით, ესკიზებით, ტილოებგადაფარებული, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ნამუშევრებით რომ არის სავსე.

ვეკითხებით, რაზე მუშაობენ ამჟამად.

— წელს განზრახული მაქვს შეგქმნა ჩვენი თანამედროვეობის სკულპტურული პორტრეტები, — გვიამბობს კოტე მერაბიშვილი, — ზოგიერთი მათგანი ძირითადად უკვე დამთავრებულია. მაგალითად, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავს მიეუძღვნი ორი სკულპტურული პორტრეტი. ეს არის საბჭოთა კავშირის გმირის, ქართველი მფრინავის ზაქარია ხიტალიშვილის და სამხედრო ექიმის ვანო შველიძის პორტრეტები.

სახელოსნოს ცენტრში უურადღებას იპყრობს დიდი ქანდაკება. იგი გამოსახავს ქირურგს მტკიცე ნებისყოფის მქონე გამომეტყველებით ამ მომენტში, როცა მან უკვე დაამთავრა ოპერაცია და სახიდან პირბადეს იხსნის.

— ეს ჩემი ახალი ნამუშევარია, — გვეუბნება კოტე მერაბიშვილი, — ცნობილი ქართველი ქირურგის პროფესორ ეგნატე ფიფიას პორტრეტი. ამჟამად აგრეთვე ვმუშაობ მონუმენტური კომპოზიციის შექმნაზე. ეს არის „განთავისუფლებული ამირანი“, რომელშიც უნდა ჩვენთან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ზეიმი.

შემდეგ თავისი ნამუშევრები გვაჩვენა მერაბ მერაბიშვილმა. მან მიგვიყვანა თავის ახალ ქანდაკებასთან. ეს არის რესპუბლიკის დამსახურებული ართისტის დოდო ჭიჭინაძის პორტრეტი — გამოძერწილი თეთრ მარმარილოში. იგი გამოირჩევა შესრულების რბილი, თავისუფალი მანერით.

პორტრეტი ჯერ დამთავრებული არ არის, მაგრამ უკვე იგრძნობა, რომ იგი ნიჭიერი მოქანდაკის ახალი შემოქმედებითი წარმატება იქნება.

— ეს გაგრძელებაა სკულპტურული პორტრეტების სერიისა — „საქართველოს ქალები“, რომელზეც მომავალში უნდა ვიმუშაო, — ამბობს მერაბი.

გარდა ამისა, ჩაფიქრებული მაქვს შეგქმნა სიმბოლური სკულპტურული ფიგურა „გამარჯვება“, რომლის ესკიზებზე ახლა ვმუშაობ. მასში უნდა ავსახო ჩვენი ხალხის დიადი გამარჯვებები, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

**ს. კილაძე.**

**თითქმის** ერთი თვეა, რაც თბილისის სურათების გალერეასა და მხატვართა კლუბში გაიხსნა რესპუბლიკური სამხატვრო გამოფენა „მშვიდობის სადარაჯოზე“.

გამოფენა, რომელმაც დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ასახავს ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების მიღწევებს, ნათლად მეტყველებს მხატვართა, ფერწერთა, მოქანდაკეთა და გრაფიკოსთა შემოქმედებით ზრდაზე.

**სურათებზე:** გამოფენის ექსპონატები. ზემოთ — საქართველოს დამსახურებული მხატვარი შ. მაყაშვილი — „სასროლ მოედანზე“, ქვემოთ რ. სანაძე — „ძესანგრე“.

# საოცარი ილეთები და რაინდული სიყვარული

ამ სათაურით გაზეთმა „ლუმანიტმ" 12 მარტის ნომერში გამოაქვეყნა ძმენბერ ბლოხის რეცენზია პარიზში საქართველოს ძალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის კონცერტების გამო. დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ამ რეცენზიის თარგმანს უმნიშვნელო შემცირებით.

„რა საამაყო სანახაობაა!

ჩვენ ისინი ამ ექვსი წლის წინათ აღმოვაჩინეთ ამავე სცენაზე. მაშინვე დაგვატყვევა და აღგვაფრთოვანა ამ ვირტუოზულმა, მებრძოლი სულისკვეთების ცეკვებმა, საოცარმა ილეთებმა, თეძოს წვერებით ელვისებურმა ტრაიექტორიებმა და ნახტომებმა.

ყოველივე ეს ახლა ხელმეორედ ვიხილეთ განახლებული პროგრამით, რომელსაც ქართული ცეკვების დამსახურებული ანსამბლი ვეთაყვლობს. დიახ, ჩვენს წინაშე კვლავ წარმოდგენენ ეროვნული სამოსში გამოწყობილი ის მაგელელები ვეფხვაცები თავგბრუდამხვევი საცეკვაო ილეთებით და ცეკვლის მორჩილებელი ხმლებით. მაგრამ საოცარმა ცეკვებმა „ხანჯლურმა" და ხანჯლურმა „შეჯიბრმა" არ შეიძლება არ მოგაგონონ „ასეთ სიკვდილს... ფაშისტებმა ისინი ქობებში შერეკეს და ცეცხლი წაუკიდეს ქობებსა და ადამიანებს.

მხოლოდ რამდენიმე ბედნიერი პირჩუპისელი გადაურჩა დადუბვას!

ნახშირად ქცეული ადამიანები ცხრა დღე და ღამე უსატრონოდ ეყარნენ პირჩუპისის ველზე. ცხრა დღე და ღამე გერმანელები არავის არ აძლევდნენ უფლებას დაესაფლავებინათ ისინი. მხოლოდ ორმა ადამიანმა — პიატრას ვილკიშუსმა და ანტონეს მარცინკონენემ შეძლეს ენახათ სასვენლის ველი. პირველმა ძვლებად ქცეული შვილი რაღაც სასწაულით გამოიცნო, მეორემ დის შვილი ღუმელში ჯამლსა და ნაცარში დამხრჩვალი იპოვნა. დანარჩენები კი ვინ იცის სად და რომელი იყო.

ფაშისტებს მყოფნიდათ მხეცობა ყოველივე ამისთვის გულგრილად ეცქიროთ. მხოლოდ 11 ივნისს მიიღეს მეზობელი სოფლიდან ჩამოსულმა ჰირისუფლებმა დამწვართა დასაფლავების ნებართვა პირობით: არა ყოფილიყო არავითარი ცერემონია და ხმაური. ეს „ისტორიული" დოკუმენტი ამჟამად ინახება მუზეუმში.

...12 ივნისს საშგლოვიარო მარშმა სრულ სიჩუმეში ჩაიარა. ადამიანების ნახშირად ქცეული ძვლები მიიბარა პირჩუპისის მიწამ. ქალების ჩუმ ქვითინსა და მოთქმაში უდიდესი სიძულვილი და წყევლა იყო ჩაქსოვილი.

სასაფლაოდ იქცა პირჩუპისი. ასე შეწყდა სოფლის მაჯისცემა.

...მუზეუმიდან არც ისე შორს ცხოვრობს 80 წლის მოხუცი პიატრას ვილკიშუსი — ყველაზე სასაბარო ადამიანი პირჩუპისში. ამჟამად მას სხვისი ოჯახისთვის შეუფარებია თავი. ოდნავ მოხრილა მხრებში. მზის ამოსვლისას ყოველთვის მას საფლავებს შორის ნახავ ადამიანი. თვალებში ცრემლები დაშრობია. როცა ვინმე უცხოს ნახავს თავის სოფელში, პიატრასი შეიკავალიერებს, სადაურობას ჰკითხავს. შემდეგ ოდნავ მოგუდული ხმით იმ ღამის ამბავს მოუყვება, შვილის ძვლებს რომ დაეძებდა სინსლსა და ნაცარში. სტუმარს ერთ-ერთ საფლავთან მიიყვანს. დიდხანს დგას, შეჰყურებს საფლავის ქვას და მხოლოდ აქ ვერ შეიკავებს ცრემლებს... გრანიტის ბარელიეფზე სხვა დაღუპულთა გვარებთან ერთად მისი ოჯახის ყველა წევრის სახელია ამოკვეთილი...

დღეს მკვდრეთით აღმდგარა პირჩუპისი. გაცილებით ლამაზი და სიცოცხლით სავსეა იგი. ადამიანი ვერც კი მიხვდება რომ აქ, ამ წინვნართა შორის გადაშლილ აუვავებულ ველზე მოხდა ეს საშინელება.

სულ ორიოდე დღე გავატარე პირჩუპისში — სოფელში, სადაც ადამიანთა ფერფლზე ახალი ცხოვრება აშენდა. ორი დღე, რომელმაც ჩემ წინ კაცრებად ჩააქროლა კვამლში გაბვეული მიწა, ცეცხლწაკიდებული ადამიანები და დამწვარი ბავშვები, ორი დღე, რომელმაც მიაშმო ყველაზე საშინელი ამბავი პირჩუპისის ტრაგედიისა, და როცა უკან ბრუნდებოდი, მესმოდა, რასაც მოითხოვდა მოხუცი პიატრასის ცრემლიანი სახე, მგლოვიარე ელიტველი დედის ქანდაკების გვერდით რომ იდგა!

— ეს არ უნდა გამეორდეს! ადამიანებო, იყავით ფხიზლად!

...ალტობუსმა კვლავ ვილნიუსისაკენ აიღო გეზი. შემდეგ თბილისი! თბილისში კი ქართველი დედა შემეგება. ხელში ფიალა და მახვილი რომ უჭირავს!

**ზ. ფიფია.**

**სურათზე:** გ. ოიკუბონისის ქანდაკება „არა, ეს არ გამეორდეს!".

# ვ. ს. გერსამია

ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალა ვ. ს. გერსამია. [illegible] ასული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ ხიმონის-ძე გერსამია.

მედიცინის მუშაკთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი პედაგოგი, ექსპერიმენტატორი და საზოგადო მოღვაწე. ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იგი უანგარიოდ ემსახურებოდა მშობლიურ ხალხს, ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

ვ. გერსამია დაიბადა 1897 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში. სამუალო განათლება მიიღო ბაქოს გიმნაზიაში. 1923 წელს წარჩინებით დამთავრებულ ახალგაზრდა ექიმ-მკურნალ ეროვნულ უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და ორდინატორად დატოვეს საფაკულტეტო თერაპიის კლინიკაზე პროფ. ა. ალადაშვილთან.

1937 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად და ერთი წლის შემდეგ — 1938 წელს კლინიკის დოცენტად აირჩიეს.

სამამულო ომის წლებში ვ. გერსამია სამხედრო სამსახურში და პასუხსაგებ თანამდებობები უკავია ამბულატორიის ფრონტის სხვადასხვა ჰოსპიტალში.

1958 წელს ვ. გერსამიამ დაიცვა საოპერატორო დისერტაცია, ხოლო 1960 წელს მას პროფესორის წოდება მიენიჭა.

ვ. გერსამია ფართო დაპაზონის მეცნიერი მკვლევარი იყო. იგი 80-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ვ. გერსამია წლების მანძილზე იყო რესპუბლიკის მთავარი თერაპევტი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს და თბილისის თერაპევტთა საზოგადოებების გამგეობის წევრი, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის" სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ვ. გერსამია იყო საბჭოთა ექიმების კომუნისტური პარტიის წევრი 1946 წლიდან.

მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ვლადიმერ გერსამიას მოღვაწეობას. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, მედლებითა და სიგელებით.

შესანიშნავი მეცნიერის და კლინიკისტის, პედაგოგის და მოქალაქის, ბრძენწევრნით გულისხმიერი და თავაზიანი ადამიანის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, საქართველოს სსრ თერაპევტთა საზოგადოება.**

# ინდო ეროვნული ფლოტი

## ავჭარა ცისფერ ეკრანზე

**ბათუმი.** (საკ. კორ.). რამდენიმე დღე დაჰყვეს აჭარაში საკავშირო ტელევიზიის ცენტრალური სტუდიის მუშაკებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა რეჟისორი ს. გინზბურგი. სტუმრები გაეცნენ აჭარის ღირსშესანიშნაობებს, რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებას. მათ ცისფერ ეკრანზე გადასაცემად გადაიღეს ბათუმის ზღვისპირა პარკი, ახალშენებლობანი, ბოტანიკური ბაღი, ქობულეთის რაიონის ხუცუბნის, ზედა აჭყვის, წითელი ოქტომბრის კოლმეურნეობათა საქმიანობა.

## ყველაზე მასობრივი უნივერსიტეტები

**მოსკოვი.** 16 მარტი. (საკდესის კორ.). საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოებრივი დათვალიერება. ორ სიახლე შეტანა დათვალიერებამ მშრომელთა განათლების ყველაზე მასობრივი კერების საქმიანობაში?

მნიშვნელოვნად გაფართოვდა სახალხო უნივერსიტეტებისა და მათ ფილიალების ქსელი ლიტვაში. გასულ სასწავლო წელთან შედარებით მსმენელთა რიცხვი თითქმის ერთისამად გაიზარდა. უფრო გასაგები, მრავალფეროვანი გახდა სწავლების ფორმები. კაუნასის ტექნიკური შემოქმედების უნივერსიტეტში არა მარტო ლექციები იკითხება, არამედ წარმოებს პრაქტიკული მეცადინეობაც. წარმოების მუშაკთა დიდმა ჯგუფმა შეისწავლა მათემატიკური პროგრამირება, მუშობა ელექტრონულ საანგარიშოამსახსნელ მანქანებზე.

უზბეკეთის სოფლებში შეიქმნა ყოფაცხოვრების კულტურის უნივერსიტეტები, რომელთა პროგრამაში შედის მარქსისტულ-ლენინური ეთიკისა და ესთეტიკის პრობლემები, ოჯახისა და ოჯახური ურთიერთდამოკიდებულების საკითხები და სხვ.

## ახალი ქაფი „ციხაკარი"

**რუსთავი.** (საკ. კორ.). ქალაქის მარჯვენა ნაპირის დასახლებაში პირველი კლიენტები მიიღო ახალმა ქაფი „ციხაკარმ". ქაფი ერთდროულად მოემსახურება 50 კაცს. აქ აქვთ როგორც ცხელი კერძები, ისე საკონდიტრო ნაწარმი.

## ტურისტული კლუბი თელავში

საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს ინიციატივით თელავში შეიქმნა ტურისტული კლუბი. საწარმოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან შემქმნილია ტურისტული სექციები. მოიწყო ინსტრუქტორთა გადამზადება, შეიმუშავეს ახალი ტურისტული მარშრუტები და სხვ.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხს გამარჯვების 20 წლისთავთან დაკავშირებით თელავის ტურისტულმა კლუბმა რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გადაწყვიტა მოაწყოს მოგზაურობა სპეციალური ტურისტული მატარებლით გმირ ქალაქებში ოდესასა და სევასტოპოლში.

## ბოლოდროინდელი მოკლედ

□ **ამბროლაური.** (საკ. კორ.). სოფელ ნიკორწმიდის მცხოვრებმა ი. მაკალაძემ ამბროლაურის ცეცხლიანი მემანდილეთ სალარაში წარადგინა 1965 წლის ფულისა და ნივთების პირველი გამოშვების ლატარიის ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ჰაინინო.

ამავე გამოშვების ბილეთით კონფისკაციის რაიონული განყოფილების ბუღალტერმა მ. ლიპარტელიანმა მოიგო ტელევიზორი „რეკორდი".

□ **ჭიათურა.** (საკ. კორ.). „შაბათ საღამოს" — ასე უწოდეს მარგანეცის ქალაქის ახალგაზრდებმა გართობისა და დასვენების საღამოს, რომელიც აქ ახლახან გაიმართა. საღამოს პროგრამაში იყო სპორტული თამაშობანი, ცეკვები, სიმღერები.

□ **საზოგადოებრივ** საწყისებზე შეიქმნა და მუშაობას შეუდგა ონის ციკლის ახალგაზრდული ანსამბლი, რომელშიც 50 კაცია გაერთიანებული. ანსამბლს ხელმძღვანელობენ ქორეოგრაფები ვ. მაჩაიძე და ზ. კობაძრიძე. ახალგაზრდულ ანსამბლში გაერთიანებულია აგრეთვე ონი ვოკალური ჯგუფი — ქალთა და ვაჟთა. ისინი ასრულებენ სიმღერებს ჭიანურის, სტვირის და გიტარის აკომპანემენტით.

□ **ზესტაფონი.** (საკ. კორ.). რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ახალგაზრდა სპეციალისტთა ახალი ნაკადი მიიღეს. ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა ახლახან გამოუშვა სოფლის მეურნეობის ბუღალტერთა დიდი ჯგუფი.

## ივოვნის მამონტი

„**ივოვნი**- დონბასაიას" შახტის მშენებლებმა მარინკის რაიონის სოფელ ანტონოვკის მახლობლად ივოვნის დიდი ცხოველის ჩონჩხი. აქ ჩამოსულმა დონეცკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერმა მუშაკებმა გამოარკვიეს, რომ ეს არის მამონტის ძვლები. მიწიდან ექსკავატორით ამოიღეს კიდურების ნაწილი, დიდი ნეკნები. მონაპოვარი მიხედვით მამონტი 8 მეტრამდე სიმაღლისა უნდა ყოფილიყო.

რამდენიმე ათეული ათასი წლის წინათ მყინვარების დნობის შედეგად დონეცკის ველზე წამოვიდა ნიადაგები. ამ მდინარეთა ნაპირები ჭაობით დაიფარა. ერთ-ერთი ასეთი ჭაობი ამ გიგანტ ცხოველის მახედ იქცა. აქ იგი მტაცებელთა მსხვერპლი გახდა. მამონტის მსხვილი ძვლები ანატომიური აგებულების მიხედვით ეწყო, ხოლო წვრილი ძვლები — მოშორებით. მხეცებმა ჩანს ვერ შეძლეს მთელი ჩონჩხის გადათრევა.

ეს პირველი სიურპრიზი არ არის. დონეცკის ოლქში მამონტის ძვლები იპოვნეს ქალაქ დრუჟკოვკაში ამოვის ზღვის ნაპირზე და მდინარე სევერნი დონეცზე.

## ქალაქ მინისძრა

**ტაშკენტი.** 17 მარტი. (საკდესი). დღეს სალამოს უზბეკეთის დედაქალაქში, ისევე როგორც სამი დღის წინათ, იგრძნობოდა მიწისძვრა. მიწისქვეშა ბიძგების ძალა ხუთ बალს უდრიდა. ტაშკენტის სეისმური სადგურის წინასწარი მონაცემებით, მიწისძვრის ეპიცენტრი გადიოდა ტაშკენტის ქედის ბაზალტებაში 60 კილომეტრზე ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

## ვ. ს. გერსამია



ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალა ვ. ს. გერსამია. [illegible] ასული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ ხიმონის-ძე გერსამია.

მედიცინის მუშაკთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი პედაგოგი, ექსპერიმენტატორი და საზოგადო მოღვაწე. ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იგი უანგარიოდ ემსახურებოდა მშობლიურ ხალხს, ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

ვ. გერსამია დაიბადა 1897 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში. სამუალო განათლება მიიღო ბაქოს გიმნაზიაში. 1923 წელს წარჩინებით დამთავრებულ ახალგაზრდა ექიმ-მკურნალ ეროვნულ უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და ორდინატორად დატოვეს საფაკულტეტო თერაპიის კლინიკაზე პროფ. ა. ალადაშვილთან.

1937 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად და ერთი წლის შემდეგ — 1938 წელს კლინიკის დოცენტად აირჩიეს.

სამამულო ომის წლებში ვ. გერსამია სამხედრო სამსახურში და პასუხსაგებ თანამდებობები უკავია ამბულატორიის ფრონტის სხვადასხვა ჰოსპიტალში.

1958 წელს ვ. გერსამიამ დაიცვა საოპერატორო დისერტაცია, ხოლო 1960 წელს მას პროფესორის წოდება მიენიჭა.

ვ. გერსამია ფართო დიაპაზონის მეცნიერი მკვლევარი იყო. იგი 80-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ვ. გერსამია წლების მანძილზე იყო რესპუბლიკის მთავარი თერაპევტი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს და თბილისის თერაპევტთა საზოგადოებების გამგეობის წევრი, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის" სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ვ. გერსამია იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1946 წლიდან.

მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ვლადიმერ გერსამიას მოღვაწეობას. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, მედლებითა და სიგელებით.

შესანიშნავი მეცნიერის და კლინიკისტის, პედაგოგის და მოქალაქის, ბრძენწევრნით გულისხმიერი და თავაზიანი ადამიანის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, საქართველოს სსრ თერაპევტთა საზოგადოება.**

# პირჩუპისის ტრაგედია არ უნდა გამეორდეს!

ამბოგუსმა, რომელიც ვილნიუსიდან გამოვიდა, ძმა წუთის შემდეგ სვლა. შეიხედა და გაჩერდა. გზის მარჯვნივ მგლოვიარე ქალის ქანდაკება ამართულა. ქანდაკების იქით სოფელია ახალი სტანდარტული სახლებით. ირგვლივ წიწვნარი და მოწმენდილი ცა.

— „სოფელი პირჩუპისი" — აწერია გრანიტის ბარელიეფს. პატარა, მაგრამ ცნობილი დასახლება, რომელმაც ლიდიცესა და ორადურთან ერთად თავისი ტრაგედიით გაითქვა სახელი მსოფლიოში. ჩეხოსლოვაკის, საფრანგეთისა და საბჭოთა ლიტვის ეს სოფლები საშინელებათა მოგონებად დარჩა ადამიანთა მეხსიერებაში.

ყოველი ადამიანის სურვილი ნახოს ოუნდაც ერთ-ერთი ეს ადგილი არ არის საფუძველს მოკლებული. მით უმეტეს, როცა დგას საკითხი, ეპატიოთ თუ არა მიტლერელ ჯალათებს მათი დანაშაულობანი?

...ქანდაკებიდან მგლოვიარე ლიტველი დედა იცქირება უდიდესი მწუხარების გამომხატველი თვალებით. მოქანდაკე გედიმინ ბაკუნონასმა თავის ამ ნაწარმოებს „არა. ეს არ გამეორდეს!" — უწოდა: მას ლენინური პრემია მიენიჭა.

... პირჩუპისი აგრძელებს ცხოვრებას. ხაკვამურებიდან ამომავალი კვამლი ცას უერთდება. ყოველი ეზოდან ბავშვების სიცილ-კისკისი ისმის. გულნეული ჩვეულებრივად აბრუნებს ბელტებს. სოფლის ერთ-ერთ ლამაზად ნაგებ ორსართულიან სახლში მუზეუმია მოთავსებული. აქ გამოფენილი ყოველი ნივთი ძველი, ომისდროინდელი და ახალი პირჩუპისის ბიოგრაფიას გვიყვება. ახლობით მნახველი ამყავს მუზეუმს. სიჩუმეა მის კედლებს შორის. ადამიანები უხმოდ ათვალიერებენ ექსპონატებს. გარეთ კი ორსართულიან ლამაზ სახლებს შორის საფლავებია... საფლავის ქვებზე აწერია ასცხრამეტი ადამიანის სახელი და გვარი. ისინი დაიღუპნენ ერთ დღეს, ერთნაირი წამებით, ერთი ჯალათის მიერ.

...ეს იყო 1944 წლის 8 ივნისის მზიან დილით. მიტლერელთა რამდენიმე მანქანა გრუხუნით შემოვიდა პირჩუპისში. მცირე შეხვედრების შემდეგ ნახევარი ძველ პირჩუპისში დაბანაკდა, დანარჩენებმა კი დაიკავეთ ისაკენ — განაგრძეს გზა. მიტლერელები ფრთხილობდნენ. სამბიც ჰქონდათ. ადგილობრივი პარტიზანები ვინცეს ბრაზიანტისი, სტასის საულენასი, ადამის ურბელიონისი და მათი რაზმი ბევ დღეს უთვალთვალებდა ფაშისტებს.

... 11 საათზე შორეული ალეთეკენისა და სროლის ხმამ პირჩუპისამდეც მიაღწია. პირიზონტზე კვამლი ავარდა. ხმამ ამბავი მოამზადა: „პარტიზანებმა პირჩუპისიდან რამდენიმე კილომეტრზე მოსპეს გერმანელთა წინწასული ნაწილი, ხელში ჩაიგდეს მანქანები, ჯარისკაცები და ოფიცრები".

მიტლერელები გამხეცდნენ.

...მალე სოფელში კვლავ შემოიჭრა რამდენიმე მანქანა. შემდეგ სამი ტანკი. რაღაც არგაგონილი უნდა დამართოდა სოფელს. რკინის მუზარადებიანი, ავტომატებით შეიარაღებული ჯარისკაცები ნელნელა უახლოვდებოდნენ ახალ პირჩუპისს, სადაც მხოლოდ მოხუცები, ქალები და ბავშვები იყვნენ დარჩენილნი. სოფელი ალყაში მოექცა. ქალები და მოხუცები ეიხვეოდ ნიშნად იქცნენ: — რა უნდათ, რა უნდა მოხდეს? სიჩუმეს უპასუხებდა იარაღის ჩხარუნი! გერმანელებმა ცალკე გამოყვეს ოხუომეტამდე „სანაში" მამაკაცი. ვინაც ოდნავ მაინც შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, ისინი დახვრიტეს! დანარჩენები კი „გადაურჩნენ" ასეთ სიკვდილს... ფაშისტებმა ისინი ქობებში შერეკეს და ცეცხლი წაუკიდეს ქობებსა და ადამიანებს.

# Humanité

ORGANE CENTRAL DU PARTI COMMUNISTE FRANÇAIS

# ჯილდოები ტამპერეს გმირებს



**მოსკოვი** ზეიმით შეხვდა ტამპერეს გმირებს. როგორც ცნობილია საბჭოთა ჰოკეისტებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს — სამგზის ზედიზედ მოიპოვა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა ოქროს მედლები.

სსრ კავშირის ჰოკეისტებსა და მწვრთნელებს მიესალმნენ სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს მეორე პლენუმის მონაწილენი, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს. გუნდის უფროს მწვრთნელს ა. ჩერნიშოვს, მწვრთნელს ა. ტარასოვს, მოთამაშეებს ვ. კომნოვალენკოს, ვ. ზინნერს, ა. რაგულინს, ე. ივანოვს, ვ. კუზკინს, ვ. ფავიდოვს, ვ. ბრეჟნევს, ა. ლოკტევს, ა. ალმეტოვს, ვ. ალექსანდროვს, ბ. მაიოროვს, ვ. სტარშინოვს, ა. იოფოვს, ლ. ვოლკოვს, ვ. იაკუშევს, ა. ფირსოვსა და ი. ვოლკოვს, სსრ კავშირის ჰოკეის ფედერაციის თავმჯდომარეს ვ. ალიოხინს, გუნდის ექიმს ვ. ბესელევიჩს, მასაჟისტს ბ. ავსეენკოს გადაეცათ სასპორტო კავშირის ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელები.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელებისა და ჰოკეისტების გვარები შეტანილია საპატიო წიგნში. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს — ჰოკეისტებს პირველად ჩვენს ქვეყანაში მიენიჭათ „საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის" წოდება. სპორტის ოსტატებს ვ. ბრეჟნევსა და ა. იოფოვს მიენიჭათ სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება.

ნაკრები გუნდის წევრების მომზადებისათვის მწვრთნელები ვ. ბოგროვი, ა. კოსტრიუკოვი და ა. პრილეპსკი დაჯილდოებული არიან სასპორტო კავშირის ცენტრალური საბჭოს სიგელებით. (საკდესი).

## შესარჩევი მაჯჩები

**ლონდონი.** 18 მარტი. (საკდესი). ჰოკეის შემდეგ სპორტის მოყვარულთა ყურადღება ფეხბურთმა მიიპყრო. კარდიფში გაიმართა მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ნაკრების მეტოქენი მეშვიდე ჯგუფში — უელსისა და საბერძნეთის გუნდები. გიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 4 : 1 (1 : 1).

ეს იყო მეტოქეთა მეორე შეხვედრა. პირველი მატჩი მოიგეს ბერძნებმა ანგარიშით 2 : 0.

უფრო ადრე მეშვიდე ჯგუფში გიმართა კიდევ ორი მატჩი. დანია-ფინეთი — 1 : 0, საბერძნეთი-დანია — 4 : 2.

**სურათზე:** მსახიობები სვეტლანა ცხოვრებოვა და ეველინა გუზჩკოვა სცენაზე გამოსასვლელად ემზადებიან.

ფოტო ვ. უბოფენკოსი (საკდესის ფოტოკორონეა).

## საზღვარგარეთ

### თვითმკვლელობა

**ნიუ-იორკი,** 17 მარტი. (საკდესი). პროტესტები ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ქვეყნის მთავრობის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ კულტურულ ფენებში ყველაზე სასოწარკვეთილ ფორმებს იღებს. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგაზეთო იუწყება, გუშინ საღამოს დეტროიტის ერთ-ერთ ხალხმრავალ გზაჯვარედინზე ამერიკის მოქალაქე, ფარმოშობით გერმანელი, ჰელგა გერკი ცდილობდა დაეწვა თავისი თავი სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. გამვლელები მისცვივდნენ ქალს, როცა ალი მოედო თავიდან ფეხებამდე. მათ სწრაფად ჩააბრეს ჰ. გერკის ალმოდებული ტანსაცმელი. იქვე ეგდო სანვავის ცარიელი ქილები. ჰ. გერკი ძმამე მოგონარეობაში მიიყვანეს საავადმყოფოში.

გერკის სათხოვარში პოლიციამ იპოვა ბარათი, რომელშიც ეწერა, რომ მას უნდოდა თავი მოეკლა თვითდაწვის საშუალებით, ისევე, როგორც ამას სამხრეთვიეტნამელი ბუდისტები შვრებიან, როგორც ჰელგა გერკის მეგობრები აცხადებენ, იგი ორყოვი პაციფისტია. ჰელგა გერკი ამერიკის შეერთებულ შტატებში გერმანიიდან 30-იან წლებში ჩამოვიდა.

### დემონსტრაციის დახვრეტა

**ნიუ-იორკი,** 17 მარტი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის ჯარებმა დახვრიტეს ბერძენთა დემონსტრაცია ქალაქ ფუ-მიში, ბინ-დინის პროვინციაში. ამას იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგაზეთო საიგონელი კორესპონდენტი. ასლო მასლო სოფლების 1.700 გლეხი ოთხ კოლონად გაემართა ქალაქ ფუ-მიში, რათა თავისი პროტესტი განეცხადებინა ამერიკა-საიგონის ჯარების დამსჯელი ოპერაციების წინააღმდეგ. გლეხებს აგრეთვე სურდათ გაეცხადებინათ, რომ მხარს უჭერენ ეროვნული განთავისუფლების ფრონტს, რომელიც იბრძვის სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებისათვის. ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს დემონსტრანტებს. არის მოკლულები. 100 კაცი დაპატიმრებული.

# ბოტვინიკის პასუხი

ამას წინათ 9 გროსმაისტერი ეწვია მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს: მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, მ. ტალი, ლ. შტეინი, ვ. ანტოშინი, ე. ვასიუკოვი, ე. გელერი, ბ. სპასკი და ს. ფლორი. საკავშირო საღამოს ცენტრალური ნაწილი იყო მ. ბოტვინიკის გამოსვლა. მან უპასუხა დამსწრეთა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე. აი ზოგი მათგანი:

**რაშია პეტროსიანის ძალა?**

პეტროსიანის ძალა იმაშია, რომ იგი ისე არ თამაშობს, როგორც სხვები. უმეტესობა რაღაცას ამტკიცებს, ქმნის, ეტყვის, აქტიურად თამაშობს. პეტროსიანს სულ სხვაგვარი ხასიათი აქვს. იგი მხოლოდ მაშინ უტევს, როდესაც თავს უხიფათოდ გრძნობს. პეტროსიანი კი არ ამტკიცებს, არამედ უარყოფს. იგი მეტად ძლიერია დაცვაში. უცხოელები მას უწოდებენ „გროსმაისტერი არა", უმეტესობას კი „გროსმაისტერი დიახ".

**შეიდება თუ არა ფიშერის მატჩი რომელიმე საბჭოთა გროსმაისტერთან?**

ამ მატჩის იდეა წამოყენებულ იქნა ფიშერის მფარველის ამერიკელ ბიზნესმენ ბისნოს კერძო წერილში. თვით ფიშერს ასეთი წინადადებით არ მიუმართავს. ალბათ, ყველაზე უკეთესი იქნებოდა, რომ ოფიციალური წინადადებით მოემართა ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო ფედერაციას.

**როგორია თქვენი აზრი ფიშერის თამაშის შესახებ?**

ფიშერი მეტად ნიჭიერი მოჭადრაკეა. იგი სწორად და დამაჯერებლად ერკვევა ტაქტიკურ გართულებებში. მაგრამ როდესაც თამაში უფრო გამოტრკეველ ხასიათს ატარებს და პირველ რიგში საჭიროა გეგმისა და ღრმა პოზიციური შეფასების გამოტანა, ფიშერი უარესად თამაშობს. მას აშკარად ხელს უშლიან ემოციები.

**როგორია თქვენი გეგმები უახლოესი ორი წლის მანძილზე?**

ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი წარმატებით შევალგენ საჭადრაკო პროგრამას ელექტროსელ მანქანასთან.

**როგორ აფასებთ ტალიხა და შტეინის თამაშს?**

ტალის თამაშის ძალა ცნობილია — ჩვენ ყველას წუგეგიანი მასთან. შტეინს უფრო ნაკლები გამარჯვებები აქვს წაგებული გროსმაისტერებთან. იგი საუკეთოდ გრძნობს თავს გართულებებში, მაგრამ უფრო სუსტია პოზიციურ თამაშში.

**რატომ ვერ მოხვდა ტალი საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში?**

ეს საკითხი მარტო თქვენ როდი გაინტერესებთ, არამედ მთელი საჭადრაკო სამყაროსაც. მაგრამ რა ეკნაო, როდესაც ამდენი გამორჩენილი გროსმაისტერი გვყავს. რომელი მათგანი უნდა გამოგვეყვანა გუნდიდან?

**რას იტყვით ბრონშტეინის ახლანდელ თამაშზე?**

ოდესღაც ბრონშტეინმა დიდებული წარმატებებს მიაღწია, შიშის ზარი დასცა მთელ საჭადრაკო სამყაროს. ის დრო წავიდა. ახლა ბრონშტეინი თამაშობს ისევე, როგორც ყველა ჩვენ, ჩვეულებრივი გროსმაისტერები. მისი წარმატებები წარუმატებლობით ილესება. ეტაყობა აქ მოქმედებს ბრონშტეინის ასაკი.

**რომელი საბჭოთა გროსმაისტერი დაამარცხებია მსოფლიოს ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს?**

ელვისებურ თამაშში, მან მგონი, ერთი საბჭოთა გროსმაისტერი დაამარცხა. დიახ — ეპასუხა პრეზიდიუმში მყოფმა მ. ტალმა და დარბაზში მყოფთათვის ყველაფერი ნათელი გახდა.

## თასი მეხუთეჯერ

**ბუშინ** სოფიაში შედგა მეორე ფინალური მატჩი კალათბურთში რიგის ტტტ-სა და სოფიის „სლავიას" ქალთა გუნდებს შორის ევროპის ჩემპიონთა თასზე. მართალია, რიგელებმა წააგეს ეს შეხვედრა — 52 : 62, მაგრამ თასი მეხუთეჯერ მაინც მათ ხვდათ, რადგან პირველი მატჩი მოგებული ჰქონდათ ქულათა უკეთესი შეფარდებით.

## ცსკა — ფინალში

**ბუშინ** მოსკოვში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალური მატჩი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. თამაშობდნენ ცსკა-სა და იტალიის „ინისს" გუნდები. გამარჯვება კვლავ საბჭოთა კალათბურთელებს ხვდათ — 69 : 67.

ამრიგად, ცსკა ფინალში გავიდა. 8 და 15 აპრილს არმიელი კალათბურთელები ფინალში შეხვდებიან ესპანეთისა და იუგოსლავიის ჩემპიონებს შორის გამარჯვებულს.


## 25 მარტს ტირაჟია